# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ოთხშაბათი, 9 სექტემბერი 1998 №160 (695) ფასი 40 თეთრი



გუშინ მცხეთაში: თსუ — „დინამო".
ლევან ხომერიკმა ზაზა ზამთარაძის (მარცხნივ) თსუ-საც გაუტანა

## საქართველოს ჩემპიონატი — 5 ტური

8 სექტემბერი, სამშაბათი

| | |
|---|---|
| იბერია | 2 |
| ლოკომოტივი | 3 |
| გორდა | 0 |
| არსენალი | 1 |
| კოლხეთი | 4 |
| სამგურალი | 2 |
| სიონი | 1 |
| მერანი | 4 |
| ბათუმი | 4 |
| გურია | 0 |
| თსუ | 1 |
| დინამო | 3 |
| ოდიში | 2 |
| დილა | 1 |

9 სექტემბერი, ოთხშაბათი

ვიტ ჯორჯია
ტორპედო



# ვან გეელს ვილემის არ სჯერა

მცხეთაში თსუ-ს და „დინამოს" შეხვედრას უეფას თასზე თბილისელთა მეტოქის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ტილბურგის „ვილემ II"-ის დირექტორი პიტერ ვან გეელი გულღია და მჭევრმეტყველი პიროვნება აღმოჩნდა და ტაიმებს შორის შესვენებისას თავაზიანად დაგვთანხმდა ინტერვიუზე.

— საქართველოში პირველად ვიმყოფები. მშვენიერი ქვეყანაა. სტუმრის მიღებაც არ გეშლებათ. აქაური სიტუაციით მოხიბლული ვარ.

**— „დინამოზე" რა აზრის ხართ?**

— საოცრად ათლეტური გუნდია. თქვენს ფეხბურთელებს ეტყობათ, რომ ფიზიკურად მშვენივრად არიან მომზადებულნი, თანაც ერთი რამ შევნიშნე, თქვენები ყოველთვის ახლოს იმყოფებიან ბურთთან. ეს ბევრს ნიშნავს.

**— ჩვენზე ინფორმაცია გექნებათ...**

— დიდი შთაბეჭდილება მოახდინა „დინამოს" თამაშმა ბილბაოს „ატლეტიკთან". ჩვენ გვაქვს ამ შეხვედრის, ასევე „ლევერკუზენთან" თამაშის მასალები და ვფიქრობ, აქედან სერიოზულ დასკვნებს გამოვიტანთ.

**— დღეს დინამოელთა თამაშში რა ხარვეზები შენიშნეთ?**

იხილეთ მეორე გვერდი

# ქალებმა კვიპროსზე მოილხინეს

ქართველ ხელბურთელ ვაჟებს არც ჩვენი ქალები ჩამორჩნენ, ჩამორჩნენ კი არა, აგერ, ბატონო, თბილისის „მართვემ" ევროპის ჩემპიონთა თასის საკვალიფიკაციო ეტაპი მოიტოვა და მომდევნო წრეში გავიდა. ეს ყველაფერი კი კვიპროსზე მოხდა, სადაც ქართველმა გოგონებმა ორი მატჩის ჯამში კუნძულელთა ჩემპიონს სძლიეს. პირველ მატჩში ჩვენებურები 20:19 დამარცხებულან, მაგრამ საპასუხო შეხვედრაში მასპინძლები აღარ დაუნდვიათ და რვა ბურთის უპირატესობით 27:19 უჯობნიათ. მეთექვსმეტედფინალში „მართვეს" მეტოქე გერმანიის ქალაქ ლაიპციგის VIB იქნება. მატჩები ოქტომბრის დამდეგს გაიმართება, მხოლოდ ესაა საკითხავი, ჩვენები შინაც ითამაშებენ თუ ორივე შეხვედრას კვლავ სტუმრად ჩაატარებენ.

# ანდრე ცოლს გააყოლეს

US OPEN

გუშინწინდელი ქარ-წვიმის გამო გადადებული კაცთა მერვედფინალური შეხვედრები გუშინ დამთავრდა. ანდრე აგასისთვის კი სულაც ტურნირი დასრულდა. სლოვაკმა კაროლ კუჩერამ 6:3, 6:3, 6:7 (5:7), 1:6, 6:3 მოუგო და ანდრე წინა დღეს შინ გამგზავრებულ მეუღლეს ბრუკ შილდსს გაადევნა.

კაცები: ტომას იოჰანსონი (შვედეთი) — ევგენი კაფელნიკოვი (11, რუსეთი) 3:6, 6:3, 6:3, 7:6 (8:6); იონას ბიორკმანი (12, შვედეთი) — იან სიმერინკი (ჰოლანდია) 6:4, 2:6, 6:2, 6:2; პატრიკ რაფტერი (3, ავსტრალია) — გორან ივანიშევიჩი (14, ხორვატია) 6:3, 6:4, 4:6, 6:1

ქალები. მეოთხედფინალი: იანა ნოვოტნა (3, ჩეხეთი) — პატი შნიდერი (11, შვეიცარია) 6:2, 6:3

იხილეთ მეშვიდე გვერდი



REUTERS ნიუ იორკიდან

აგასის მძლეველი კუჩერა ექსტაზში და მეოთხედფინალში

# ფედერაციაში ფულს აკეთებენ

ჟურნალისტებს იშვიათად გაწუხებთ. ახლა კი სწორედ ის დროა, როცა რუსთავის „გორდას" ხელმძღვანელებმა გადავწყვიტეთ, საჯაროდ გამოვთქვათ ჩვენი გულისტკივილი ფეხბურთის ფედერაციაში დღეს შექმნილი ვითარებისა და რუსთაველებისადმი დამოკიდებულების გამო. აშკარად ჩანს, ფეხბურთის ფედერაცია ანტირუსთავულ კამპანიას ეწევა — თქვა პარლამენტარმა და ფედერაციის აღმასკომის წევრმა ლაშა მინდელმა გუშინ „არსენალთან" მატჩამდელ პრესკონფერენციაზე.

აშკარად იგრძნობოდა, რომ წყალტუბოში წაგებამ და თბილისში „მერანთან" ფრემ „გორდას" თავკაცებს ნერვები აუწეწა. თურმე ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე, როცა მინდელმა ყრილობის გადადებას მხარი დაუჭირა და თავისი, უფრო სწორად, რუსთაველთა პოზიციაც საბოლოოდ დააფიქსირა, რაც ილია დათუნაშვილისადმი მხარდაჭერაში გამოიხატება, ფედერაციამ ბრძოლა გამოუცხადა „გორდას". საქართველოში ფეხბურთის განმგებელი ორგანოს ერთ-ერთ ჩინოსანს კი მათთვის პირდაპირ უთქვამს, აქამდე „გორდას" ჯგუფში ადგილს ვუნარჩუნებდით, ახლა დროა, გაგაგდოთო. მერე იყო ლამის უკვე ჩვეულებად ქცეული ფეხბურთის ფედერაციის კრიტიკა, ამათ ქართული ფეხბურთი დაღუპესო და... ყველაზე მნიშვნელოვანი რამ კი ისევ ლაშა მინდელმა თქვა, ფეხბურთის ფედერაციის 80 პროცენტი ფულს აკეთებს. ყრილობამდე ცდილობენ, როგორმე მეტი მოიხვეჭონ, ვაითუ ხელმძღვანელობა შეიცვალოს და უმუშევრად დავრჩეთო. განსაკუთრებით კი მსაჯთა კორპუსი აქტიურობს და როგორც ჩანს, კიდეც შოულობს ფულსო. ლაშა მინდელი გულნატკენი იყო, ყრილობის გადადებას მხარი კი დავუჭირე, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, ფედერაციაში ასეთი ქაოსი თუ დაიწყებოდაო.

წყალტუბოში მომხდარ ინციდენტზეც გვითხრეს — მალხაზ კობიაშვილს მსაჯობის დროსაც და ახლაც, დელეგატობისას, მუდამ დადგმულ სპექტაკლებზე გზავნიან, ასე იყო წყალტუბოში და თბილისშიც. ხოლო როცა ამბობენ, თითქოს „სამგურალის" პრეზიდენტ ქათამაძესა და დელეგატ კობიაშვილს შორის კონფლიქტი მოხდა, ეს სხვათა თვალის ასახვევად მოგონილი სცენააო.

ფეხბურთის ფედერაციაში ყველა თავის ოთახშია ჩაკეტილი, ყველა თავისთვისაა. ჩივაძე ცალკეა, ანდრიაძე — ცალკე, კვინიკაძეც ამათნაირად. ერთმანეთთან არ მიდიან, საუბარს თავს არიდებენ, სრული განუკითხაობააო — ესეც მინდელმა განაცხადა.

როგორც გითხარით, ლაშა მინდელი პარლამენტარია, თანაც მოქალაქეთა კავშირის წევრი და ამადაც თქვა — დიახ, როცა გავიგე ჩივაძე-ჟორდანიას წინასაარჩევნო ალიანსი, გადავწყვიტე, ჩვენივე კავშირის წევრს ილია დათუნაშვილს მივცე ხმა. იგი არავისზე ნაკლები პიროვნება არ არის. დათუნაშვილი მოქალაქეთა კავშირში მოვიდა და მხარდაჭერა გვთხოვა, ჩვენც მას ვემხრობითო — თქვა წინასაარჩევნო ალიანსითა და ფედერაციის მუშაობით უკმაყოფილო ლაშა მინდელმა.

კობა ინასარიძე

## ავსტრია

VII ტური

**ავსტრია 0:1 რაპიდი**

## ინგლისი

IV ტური

**ლიდსი 3:0 საუთჰემპტონი**
1:0 მარშალი (38ს.კ.), 2:0 ჰარტი (52), 3:0 უინჰარდი

**ნოტინგემი 0:2 ევერტონი**
1:0, 2:0 ფერგიუსონი (72, 84)

### პირველი დივიზიონი

მე-7 ტური. ბარნსლი — ნორვიჩი 1:3; ბირმინგემი — სტოკპორტი 2:0; ბერი — პორტსმუთი 2:1; ქრიუ — კრისტალ პალასი 0:1; ჰადერსფილდი — უოტფორდი 2:0; იფსვიჩი — ბრედფორდი 3:0; პორტ ვეილი — ვულვერჰემპტონი 2:1; შეფილდი — გრიმსბი 3:2; სანდერლენდი — ბრისტოლი 1:1; ვესტ ბრომვიჩი — ბოლტონი 2:3; ქუინზ პარკი — ტრანმერი 0:0

## გერმანია

III ტური

**დუისბურგი 1:1 მიუნხენი**
1:0 ბაიერლე (8), 1:1 ვინკლერი (56)

**ბოხუმი 2:0 ვერდერი**
1:0 ფარენჰორსტი (1), 2:0 ტოპლაკი (69)

**ვოლფსბურგი 1:1 ფრაიბურგი**
0:1 ჰოფმანი (24), 1:1 ონილი (77)

**გლადბახი 1:1 აინტრახტი**
0:1 იანგ ჩენი (68), 1:1 პეტერსონი (89)

**შტუტგარტი 4:0 კლაუტერნი**
1:0 რისტიჩი (32), 2:0 ბობიჩი (71), 3:0 რისტიჩი (79), 4:0 ბალაკოვი (85პ)

## შვეიცარია

IX ტური

**ლუგანო 0:0 ციურიხი**

**ლოზანა 0:2 ბაზელი**
0:1, 0:2 რიჩკოვი (12, 69)

**სიონი 3:2 არაუ**
0:1 ჰელდმანი (28), 1:1 ეიდელი (38), 2:1, 3:1 ტოლოტი (57, 65), 3:2 ჰელდმანი (76)

## ჰოლანდია

III ტური

**ფეიენოორდი 5:0 გრააფსხაპი**
1:0 ვან ვოსენი (27), 2:0 რზაზა (69ს.კ.), 3:0 პაუ (78), 4:0 ვან გასტელი (82პ), 5:0 ნელისე (90)

**ვალვაიკი 3:4 ეინდჰოვენი**
1:0 პეტროვი (15), 2:0 დე გრაფი (18), 2:1 ხოხლოვი (20), 2:2 დე ბილდე (40), 2:3 ვან ნისტელროი (43), 3:3 ბიიკინკი (64), 3:4 დე ბილდე (80პ)

**ჰერენვენი 2:2 ტილბურგი**
1:0 მიტრიტა (34), 1:1 გალაშეკი (52), 1:2 ბომბარდა (80), 2:2 პალპლაცი (87)

ტილბურგი: ვან ფესემი, პრომაიონი, ჰილი, ჰიიპია (ჰენდრიკსი), შენინგი, ფალკი, ჰეერინგი (კეესაი), არტსი, შულპი (ბომბარდა), გალაშეკი, რამზი

უეფას თასზე თბილისის „დინამოს" მეტოქე 0:1-ს რომ აგებდა, უნგრელი გალაშეკის და შეცვლაზე შესული არგენტინელი მარიონ ბომბარდას გოლებით დაწინაურდა, მაგრამ ფრეს მაინც ვერ გადაურჩა.

# ნუ შეგვაშინებს პირველი გოლი

მცხეთა
8 სექტემბერი
17 საათი
არმაზი
1000 (ტევადობა 3000)

## თსუ 1:3 დინამო

1:0 წიტაიშვილი (20), 1:1 ხომერიკი (71), 1:2 ცქიტიშვილი (75პ), 1:3 აშვეთია (77)
**თსუ:** ბათიაშვილი, გ. ილურიძე, ზამთარაძე, თ. კობიაშვილი, ნინუა, ცომაია, კაკუბავა, მაღრაძე, წიტაიშვილი, ჭუმბურიძე (კ. სვანიძე 82), როსტიაშვილი
*სათადარიგონი:* გაბელია, ჭიაბრიშვილი, ო. სულაძე, ინწკირველი, ვ. ღუდუშაური
**დინამო:** გვარამაძე, ი. მახარაძე, ჯელაძე, დიდავა, ზ. არჩვაძე, დ. მუჯირი (ლ. მელქაძე 46, ა. სახვაძე 80), მიქაძე, ალექსიძე, აშვეთია, ცქიტიშვილი, ხომერიკი
*სათადარიგონი:* სოლოლაშვილი, კვარაცხელია, ქემოკლიძე, ბ. შენგელია, გ. შენგელია
**გაფრთხილება:** ცომაია (21), ალექსიძე (36), დიდავა (60), ცქიტიშვილი (76), ნინუა (79)
**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (სურამი), ა. ქარქაშაძე, ზ. დარჩია; ზ. ლაცაბიძე (ყველა თბილისი)
**სფფ-ს დელეგატი:** უ. ფურცელაძე

**პაატა კვანტალიანი** მცხეთიდან

მცხეთაში დედაქალაქური დერბი ქვეყნის ჩემპიონის გამარჯვებით დასრულდა. „დინამომ“ ამჯერადაც არ უღალატა ტრადიციას და გაშვებული გოლის შემდეგ შეძლო მატჩის ბედის მოტრიალება. ყოველივე ეს დინამოელებმა შვიდ წუთში მოახერხეს და პირველ ტაიმში ნაღვაწი სტუდენტებს წყალში ჩაუყარეს.

მატჩი კი უნივერსიტეტელთა საგრძნობი უპირატესობით დაიწყო. ისინი მშვენივრად აკონტროლებდნენ ბურთს მოედნის ცენტრში და დრო და დრო მწვავე შეტევებსაც ახორციელებდნენ მეტოქის კარის მიმართულებით. პირველი სახიფათო მომენტი სტუდენტებმა მე-4 წუთზე შექმნეს: მაღრაძის კუთხურიდან ჩაწოდებული დიდავამ კინაღამ საკუთარ კარში ჩაჭრა, ბურთი ძელს მოხვდა და მოედანს დაუბრუნდა. მე-20 წუთზე კი ჯელაძის შეცდომის შემდეგ წიტაიშვილმა თავზე გადაუგდო ბურთი წინ გამოსულ გვარამაძეს და ანგარიშიც გახსნა. წარმატებით ფრთაშესხმული მასპინძლები კვლავ აგრძელებდნენ შეტევებს, მაგრამ ამას რეალური შედეგი არ მოჰყოლია. ტაიმის ბოლოს ისევ ჯელაძის პოზიციური შეცდომის შედეგად მეკარესთან პირსიპირ გასულმა წიტაიშვილმა ვერ მოახერხა ყოფილი თანაკლუბელების კარის დალაშქვრა. მეორე ნახევარში „დინამო“ სრულიად შეიცვალა. გააზრებულად ათამაშდა ცქტიშვილი, მას მშვენივრად აუბა მხარი შეცვლაზე შესულმა მელქაძემ. ამასთან, სტუდენტებს დაღლა დაეტყოთ და ნათელი გახდა, რომ ანგარიში შეიცვლებოდა. 72-ე წუთზე აშვეთიას ჩაწოდებულ კუთხურზე მელქაძემ ბოლომდე იბრძოლა ბურთისთვის და მშვენიერი პასი მიაწოდა ხომერიკს, ამ უკანასკნელს ცოტათი ბათიაშვილიც წაეხმარა და ანგარიში გათანაბრდა.

ოთხი წუთის შემდეგ ივანე მახარაძის წამოწყებული შეტევა მშვენივრად გააგრძელა მელქაძემ, მაგრამ ხომერიკამდე მისმა პასმა ვერ მიაღწია — ლევანი საჯარიმოში მოცელეს და ლაცაბიძემაც უყოყმანოდ მიანიშნა თერთმეტმეტრიანი ნიშნულისკენ. პენალტი ხომერიკმა უნაკლოდ შეასრულა და თავისიანები დააწინაურა.

სულ მალე კი მელქაძე — ცქტიშვილი — აშვეთიას ლამაზი კომბინაცია გოლით დამთავრდა და საბოლოო ანგარიშიც დაფიქსირდა. მოკლედ, დინამოელებმა მორიგ გამარჯვებას მიაღწიეს და მშვენიერი განწყობილებაც შეიქმნეს. უეფას თასზე „ტილბურგთან“ პირველი მატჩის წინ.



დინამოელი რატი ალექსიძე თსუ-ელებთან ბრძოლაში: ბურთი ალთას, ხალხი ბალთას

# ასე იყოს სუხიმა

ფოთი
8 სექტემბერი
17 საათი
ფაზისი
2 000 (ტევადობა 6 000)

## კოლხეთი 4:2 სამგურალი

1:0, 2:0, 3:0 სუხიაშვილი (6პ, 22, 30პ), 3:1 თევდორაძე (53), 4:1 წივწივაძე (55), 4:2 ჯინჭარაძე (81)
**კოლხეთი:** ქვაჩახია (ჩემია 70), ქუნთელია, ტორჩინავა, ახვლედიანი (კრასოვსკი 75), გიორგობიანი, ლალანიძე, პაპავა, სუხიაშვილი, გვასალია (შავგულიძე 73), წივწივაძე, კალანდაძე
*სათადარიგონი:* მ. ქობულაძე, ჯლამაძე, ბაჩილავა
**სამგურალი:** სტურუა, ფრანგიშვილი, გ. თევზაძე, მ. ჯინჭარაძე, გ. ჯანელიძე (ლ. ქობულაძე 46), მახვილაძე, ი. ხაჭაპურიძე, ჯავახაძე (კ. ჯანაშია 46), ფილიპაშვილი, თევდორაძე, ლონლაძე (დ. ჭელიძე 32)
*სათადარიგონი:* ხაჩირაშვილი, უგულავა, დარსაძე, ზ. ქუთათელაძე
**გაფრთხილება:** ლალანიძე (43), ახვლედიანი (57)
**მსაჯები:** ა. შილაკაძე (თბილისი), ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)
**სფფ-ს დელეგატი:** ნ. კაკულია

**იუზა კაციტაძე** ფოთიდან

წყალტუბოელებს ყოველთვის უჭირდათ „ფაზისზე“ თამაში. უჭირდათ რომელია? ასე განსაჯეთ, „სამგურალს“ ფოთიდან ქულა რომ ქულაა, ისიც კი არ წაუღია. სავარაუდო იყო, რომ მასპინძლები არც ამჯერად უშედავათებდნენ მეტოქეს, მით უმეტეს, ჩემპიონატში ერთობ წარუმატებელი სტარტის შემდეგ მორიგი წაფორხილება ფოთელებისათვის, უფრო სწორად კი მათი თავკაცებისთვის, კრახის ტოლფასი იქნებოდა. ჰოდა, კოლხები, ფაქტობრივად, ნახევარ საათში მორჩნენ საკეთებელს. მათ თავიდანვე ლაღად, დიდი ძალებით შეუტიეს და წყალტუბოელთა დაცვა „ბრინჯივით“ დაიბნა. პირველსავე წუთზე წივწივაძე მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ახლოდან უხეიროდ დაარტყა და სტურუამ იოლად აუღო. ხუთ წუთში გვასალიამ სწრაფად გაითამაშა „კედელი“ წივაწივაძესთან და სტუმართა საჯარიმოში შეიჭრა. აქ მას თევზაძემ გამოსდო ფეხი და არბირტმაც უყოყმანოდ 11-მეტრიანისკენ გაიშვირა ხელი. სუხიაშვილმა ზუსტად დაარტყა და ანგარიში გაიხსნა. წუთიც არ გასულა, რომ „სამგურალს“ კვლავ შეექმნა საფთხე. კოლხთა მასირებულ შეტევას იგივე სუხიაშვილი აგვირგვინებდა, მაგრამ ძელს მოახვედრა, გადმოვარდნილს წივწივაძემ მიუსწრო და ისევ კარისკენ გაგზავნა. ამჯერად ბურთი ერთ-ერთ წყალტუბოელს შეეხო და კუთხურზე გადავარდა. მე-9 წუთზე უკვე ლალანიძემ შორიდან ტყვიასავით გაისროლა. სტურუამ თავგანწირულ ნახტომში „ცხრიანიდან“ გამოაგდო ბურთი. ამის შემდეგ კოლხებმა ოდნავ შეანელეს ტემპი, თუმცა კვალავაც მწვავედ უტევდნენ. შუა ტაიმში მათი მორიგი იერიში მეორე გოლით დასრულდა. კალანდაძემ დაახლოებით 25 მეტრიდან შეუჩრებელივ ძლიერად დაარტყა, სტურუა კარის მარცხენა კუთხეში მისწვდა ბურთს, მაგრამ მოგერიებულს სუხიაშვილმა დაამატა და... რვა წუთში სუხიაშვილი უკვე ჰეთ-თრიქის შესრულებას ზეიმობდა. მახვილაძემ საკუთარ საჯარიმოში უნებლიედ ხელი წაჰკრა ბურთს და მსაჯმაც აღარ დაინდო. „სუხიმ“ კიდევ ერთხელ აწყენინა ყოფილ თანაგუნდელებს.

სტუმრებმა მხოლოდ ამის შემდეგ გამოიღეს ხელი და შესვენებამდე რამდენიმეჯერ გადავიდნენ მეტოქის ნახევარზე. მაგრამ წინ ეულად მყოფ ფილიპაშვილს ხეირიანად ვერავინ ეხმარებოდა. ერთადერთი დასამახსოვრებელი ეპიზოდი ქვაჩახიას კართან 41-ე წუთზე შეიქმნა. თევდორაძე სახიფათოდ შეიჭრა საჯარიმოში, მას ქუნთელია ებრძოდა, წყალტუბოელმა თითქოს დასარტყმელადაც მოირგო ბურთი. მაგრამ წაიქცა, არბიტრმა ჩათვალა, რომ საკუთარი ინიციატივით და თამაში გააგრძელა.

მეორე ტაიმი პირველისგან რადიკალურად განსხვავებული გამოდგა. სტუმრებს დასაკარგი აღარაფერი ჰქონდათ. მათ ჯერ თამაში გაათანაბრეს და მერე უპირატესობასაც დაეუფლნენ. მათმა გარჯამ მალე შედეგიც გამოიღო. ფილიპაშვილის გრძელი ფლანგური გადაცემის შემდეგ კოლხთა საჯარიმოში ბურთს თევდორაძე დაუხვდა და ანგარიშში სხვაობა შეამცირა. თუმც მცირე ხნით. ორ წუთში მასპინძლებმა მეოთხე გაიტანეს. ახვლედიანმა მარჯვნიდან კუთხური ჩააწოდა, წყალტუბოელთა საჯარიმოში ყველაზე მაღლა წივწივაძე ახტა და ძლიერი თავურით ბადეში მოთავსა ბურთი. „სამგურალი“ ბოლომდე არც ამან გატეხა, სტუმრები მაინც ცდილობდნენ თავისას. 65-ე წუთზე ხაჭაპურიძეს მიეცა კარგი შანსი, მაგრამ თავური აუცდა. წყალტუბოელები მერეც უფრო ხშირად უტევდნენ, ოღონდ დამათავრებელ სტადიაში ვერ ვარგობდნენ. თუმცა ერთხელ მაინც დაუფასდათ შრომა. ჭელიძემ ზუსტი პასით ჯინჭარაძე გაიყვანა გარღვევაზე, რომელიც კოლხ მცველებს დაუსხლტა და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ზუსტად დაარტყა.

# ვან გაალს ვილემის არ სჯერა

დასაწყისი პირველ გვერდზე

— ცუდი არაფერი (ჰოლანდიელი თავს იკატუნებდა. თსუ-სთან პირველ ნახევარში „დინამო“ თავს არ ჰგავდა — პ.კ.) საოცრად დაბალანსებული გუნდია და მშვენიერ შთაბეჭდილებას ტოვებს.

**— „ტილბურგზე“ რას გვეტყვით?**

— 35 წლის შემდეგ პირველად გვიწევს ევროპის თასებზე თამაში. აქედან გამომდინარე, გამოცდილება გვაკლია, თუმცა გარკვეულ იმედს ისიც მაძლევს, რომ შარშან მეხუთე ადგილზე გავედით.

**— კი მაგრამ, იმ შემადგენლობის ძირითადმა ბირთვმა ხომ დატოვა კლუბი?**

— კი ასეა. ეს უდავოდ დიდი ძალა იყო, მაგრამ ახლანდელ გუნდსაც არ ეთქმის ურიგო, თუმც მართალი ხართ, შარშანდელ შემადგენლობას წლევანდელი აშკარად ჩამოუვარდება. მაგრამ არ დაგავიწყდეთ, ჩვენს კლუბში ისეთი ფეხბურთელები თამაშობდნენ, როგორიც მარკ ოვერმარსი და იააპ სტამია. ასე რომ, რაღაც-რაღაცეები ჩვენც შეგვიძლია.

**— წილისყრის შედეგებით კმაყოფილი ხართ?**

— რა თქმა უნდა, არა. შეიძლებოდა, ადვილი მეტოქე შეგვხვედროდა. ისე გამოგიტყდებით...

**— რაღაცის თქმას აპირებდით...**

— ვფიქრობ, ფავორიტები ხართ. ჩვენს გუნდს ძირითადი აქცენტი შეტევებზე აქვს გადატანილი, ამდენად მისი დაცვითი ზღუდეების გადალახვა ორმაგად იოლია. მით უმეტეს, ისეთი გუნდისთვის როგორიც „დინამოა“.

**— თავის დამშვიდების საშუალებას ხომ არ გვაძლევთ?**

— არა, არა. სრულ სიმართლეს მოგახსენებთ. მეტსაც გეტყვით, თქვენი გუნდის გამარჯვების შანსები 80 პროცენტსაც უტოლდება. „ტილბურგი“ თქვენთვის გადაულახავ ბარიერს ნამდვილად არ წარმოადგენს.

**— ტილბურგში შეხვედრას რამდენი მაყურებელი დაესწრება?**

— ვფიქრობ, ჩვენი 15-ათასიანი სტადიონი პირთამდე გაივსება.

**პაატა კვანტალიანი**

# სიონს სიბერე შეჰპარვია

ბოლნისი
8 სექტემბერი
17 საათი
თემურ სტეფანია
1500 (ტევადობა 3 000)

## სიონი 1:4 მერანი

0:1 დავითაშვილი (64), 0:2 ქორიძე (67), 0:3 დავითაშვილი (72), 1:3 ჯაგიდისი (90), 1:4 ხუციშვილი (92)
**სიონი:** დალაქიშვილი, დ. სვანიძე, შაკიაშვილი, თ. სამხარაძე, ძნელაძე, მ. სამხარაძე, ე. ჯაფარიძე (პოზოიანი 57), გოგოლაძე, გაგუა (ქობელაშვილი 62), ჯაგიდისი, მოსეშვილი
*სათადარიგონი:* კ. ჯაფარიძე, ფ. არჩვაძე, კ. გოდერძიშვილი, დ. ბერიძე, დ. ჯაფარიძე
**მერანი:** ლომაია, დევიძე, ასპინძელაშვილი, დავითნიძე, დანელია, კ. კვენეტაძე (ბაჯელიძე 79), გელა ქორიძე (ჯიშკარიანი 86), ცქიფურიშვილი, დავითაშვილი (ხარებავა 77), ხუციშვილი, მესხი
*სათადარიგონი:* ნაჭყეპია, ე. ალადაშვილი, ივანიშვილი, ადეიშვილი
**გაფრთხილება:** სვანიძე (22), ბაჯელიძე (80)
**მსაჯები:** გ. ასკაროლლი (ქარელი), მ. ელიკაშვილი, ა. მეშკოვი (ორივე თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი)
**სფფ-ს დელეგატი:** მ. კობიაშვილი

**მამუკა კვანტალიანი** ბოლნისიდან

წასულია „სიონის“ საქმე. ყოველ შემთხვევაში, გუშინდელი მატჩის გადასახედიდან ასე გამოჩნდა. „მერანი“ ტაიმნახევარი უცდიდა თავის შანსს და მერე ათ წუთში საქმეც მოიმთავრა. ბოლნისელებს წლები დაეტყოთ. თითქმის მამისტოლა ხალხთან მობურთალმა სტუმართა ცქიფინა გუნდმა მეორე ტაიმში ძალაგამოცლილი მასპინძელი უმოწყალოდ გვემა.

არადა, მატჩის დებიუტი მასპინძლებისა იყო. „სიონმა“ ხისტად დაიწყო, ბევრ სტუმარს შეეშინდებოდა, მაგრამ გაბელაიას დამოძღვრილმა „მერანმა“ მეტოქე იქით შეაშინა. იქნებ ახალგაზრდებს კიდეც შეშინებოდათ, მაგრამ სტუმართა ცენტრალური ნახევარმცველი, გუნდში ახლახან მობრუნებული გელა ქორიძე გუშინ საუცხოოდ ირჯებოდა.

გელას შეიძლება ბევრი ნაკლი უპოვო, მისი ემოციურობაც საქვეყნოდ ცნობილია, მაგრამ ამ ფეხბურთელისთვის შიში რომ უცხო ხილია, არაერთხელ დავრწმუნებულვართ. გუშინ კი თითქოს გამოცვალესო, მინდორზე კლდესავით იდგა და ზედმიწევნით, თავდადებით ასრულებდა დავალებას.

გაბელაიამ მასპინძელ კოლეგას საიმედოდ მოთამაშე მეკარე, თავგანწირული დაცვის ხაზი, მობილური ნახევარდაცვა და სწრაფი, მოუხელთებელი თავდასხმა დაუპირისპირა. „მერანმა“ ბოლნისში იპოვა თავისი თამაში და შედეგიც კანონზომიერად მიგვაჩნია.

პირველმა ტაიმმა, ბრძოლაში რომ გაილია, ხეირი ვერც ერთს მოუტანა. გუნდებმა თითო სახიფათო მომენტი გაცვალეს და შესვენებაზე გაეშურნენ. მეორე ნეხვარში ჯაფარიძისა და გაგუას აქტიურობით „სიონი“ კიდევ ფეხზე იდგა, მაგრამ დუდაურმა ორივე გამოცვალა და ეს იყო მისი ყველაზე დიდი შეცდომა. ქორიძე-კვეტენაძემ სრულად დაიპყრეს მინდვრის შუაგული, ხოლო გაგუას მეურვე დევიძე მესხს შეეწყვილა და ამათ მარჯვენა ფლანგიც აიკლეს. მასპინძელთა დაცვაშიც ბზარი გაჩნდა.

ჯერ ხუციშვილი გაექცათ, როცა ხელოვნურ თამაშგარეს აპირებდნენ. ამან ბურთი საჯარიმოში შეიტანა და აბრეზას საგოლედ უპასა. მერე მისივე წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა დაახლოებით 22 მეტრიდან ქორიძემ შეასრულა მაღალოსტატურად — კედელს გადატარებული ბურთი ცხრიანში გაეხვია. მალე აბრეზამ მცველებს მოჰპარა ბურთი და დალაქიშვილს მარცხენა დაბალი კუთხეში გაუტანა. მატჩის ბედიც გადაწყდა. დარჩენილ დროში გუნებმა გოლები გაცვალეს. ჯერ ჯაგიდისმა თავით შეაგდო პრესტიჟის გოლი, ხოლო ხუციშვილმა, თითქმის მთელი მინდორი ბურთიანად რომ ირბინა, დალაქიშვილი მეოთხედ დაამწუხრა.

აგრესიული, მაგრამ ობიექტური ბოლნისელი გულშემატკივრები უჩუმრად წავიდნენ სტადიონიდან. მხოლოდ ალამ იბობოქრა ცოტა ხნით და „მერანს“ უსაყვედურა.

— ჩვენი გუნდი რაცხა „ნაგავია“, კი ვიცი მე, მაგრამ ეგენი მაინც არაკაცები არიან. შარშან ბოლნისში ქულა მივეცით, მერე ვალი არ გაგვისტუმრეს, გადაგვაგდეს.

ვინ იცის, ჩვენს ჩემპიონატში რამდენი დამალულ-მიჩქმალული გაცხადდება. ჯერ სადა ვართ, მთავარი ახლა დაიწყება.

კიდევ ერთი საინტერესო ამბავი. „მერანთან“ მარცხი „სიონის“ ხელმძღვანელებმა ბორის დუდაურს არ აპატიეს. ეგ აწი ბოლნისში ვერ ჩამოვაო, თქვეს. აკი მთელი მატჩის განმავლობაშიც პრეტენზიებს უყენებდნენ. ძნელია მწვრთნელის ბედი, მით უმეტეს, თუ „სიონის“ თავკაცობა გევალება.

# ოდიში ლიდერსაც არ ცნობს

ზუგდიდი
8 სექტემბერი
17 საათი
ცენტრალური
500 (ტევადობა 7 500)

**ოდიში 2:1 დილა**

0:1 მოსულიშვილი (58), 1:1 კვეკვესკირი (69), 2:1 ენდელაძე (77პ)

**ოდიში:** ნაყოფია, ლურწკაია, პ. ლურსმანაშვილი, კიპაროიძე, ტყემალაძე, პ. კვეკვესკირი, ბარქაია, კუტალია, მარკოზია (იოსავა 63), ტაბალუა (თოლორაია 72), ენდელაძე
*სათადარიგონი:* გოგია, ჯოჯუა, ჟღენტი, აკობია

**დილა:** მდივანი, ფეზუაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, ვლ. სამხარაძე (დ. მაისურაძე 75), გ. ჩიტაია (ახალკაცი 80), ხ. გაგნიძე, მარეხაშვილი, მოსულიშვილი (ბ. ჩიტაია 78), კაიდარაშვილი, თაყაძე, შატაკიშვილი
*სათადარიგონი:* თ. ილურიძე, გუდურაშვილი

**გაფრთხილება:** ლურსმანაშვილი, ტყემალაძე, კვეკვესკირი

**მსაჯები:** მ. მალალურაძე, ვ. ჩოჩიშვილი (ორივე თბილისი), ა. ორდჟენიძე (ონი); ტ. ადეიშვილი (ზესტაფონი)

**სფფ-ს დელეგატი:** თ. ფანიაშვილი

**თენგიზ ძოწუა ზუგდიდიდან**

საოცარი ქვეყანაა საქართველო. საოცარი საფეხბურთო ჩემპიონატიც გვაქვს. როდესაც სეზონის დაწყების წინ „დილას“ მდგომარეობის შესახებ გუნდის ახალ მწვრთნელს ვანო თაყაძეს აზრის გამოთქმა სთხოვეს, განაცხადა, რომ მათი ძირითადი მიზანი ათეულში მოხვედრა და, შესაბამისად, ჯგუფში დარჩენა იქნებოდა. ამ სიტყვების შემდეგ ბევრმა „დილა“ გასასეირნებელ მეტოქედ მიიჩნია, მაგრამ გორელთა მშვენიერმა სტარტმა ყველა გააკვირვა და გუნდიც ზუგდიდს ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერის რანგში ასტუმრა.

„ოდიშს“ კი ჩემპიონატის წარუმატებელი დასაწყისის შემდეგ ახალი მთავარი მწვრთნელის დანიშვნამ და რამდენიმე ფეხბურთელის დამატებამ სულზე მოუსწრო და ლანჩხუთში მეტად საჭირო სამი ქულა მიითვალა. მიუხედავად იმისა, რომ ზუგდიდელებს ერთი მატჩით ნაკლები აქვთ ჩატარებული, ერთბაშად ხუთ გუნდს გადაუსწრეს.

მატჩი ნელ ტემპში დაიწყო. ორივე გუნდი პირველივე წუთებიდან შეეცადა მოედნის ცენტრში უპირატესობის მოპოვებას, მაგრამ მათ ცდას შედეგი არ გამოუღია. უკვე მე-14 წუთზე კუტალიას გარღვევას კუთხური მოჰყვა. ჩამოწოდებული ბურთი გორელთა ერთ-ერთ მცველს ხელზე მოხვდა და მანაც თავზე შემოიკრა ხელი, მაგრამ მსაჯის სასტვენი დუმდა. ასპროცენტიანი თერთმეტმეტრიანის არდანიშვნამ ზუგდიდელები არ დააბნია და მათ კვლავ გააგრძელეს შეტევა.

მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში გორელებმა მხოლოდ ერთხელ მოახერხეს კარში დარტყმა და ისიც დიდი მანძილით ასცდა კარს. ოდიშელებმა კი სამჯერ შეუტიეს სახიფათოდ — სამჯერვე ენდელაძე გაიყვანეს დასარტყმელ პოზიციაზე. მე-40 წუთზე მარკოზია — ენდელაძე — ტაბალუას სამსვლიანი კომბინაციის შემდეგ ენდელაძე მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა და მისი ძლიერად გასროლილი ოდნავ ასცდა კარს, ხოლო ტაიმის მიწურულს მისი მოჭრილი დარტყმა მეკარემ დიდი გაჭირვებით მოიგერია.

მიუხედავად სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობისა, „ოდიშმა“ პირველ ტაიმში გოლის გატანა ვერ შეძლო და მეორის იმედად დარჩა.

მეორე ნახევარი პირველზე გაცილებით საინტერესო და დრამატული გამოდგა. მატჩის განახლებისთანავე კუტალიას დარტყმული გორელთა მცველმა თავით გამოიტანა ცარიელი კარიდან. ასეთ მომენტს მასპინძლები თითქოს უნდა გაემხნევებინა, მაგრამ პირიქით კი მოხდა. უპირატესობას სტუმრები დაეუფლნენ და იხეირეს კიდეც. გიორგი ჩიტაიას გარღვევას მარჯვენა ფლანგზე საჯარიმოში ჩაწოდება მოჰყვა და იქ უმეთვალყურეოდ დარჩენილმა მოსულიშვილმა თავით ცარიელ კარში შეაგდო ბურთი. ამან სტუმრები კიდევ უფრო შეაგულიანა და ზედიზედ რამდენიმე მწვავე მომენტიც შექმნეს ზუგდიდელთა კართან.

ოდიშელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა. ლურსმანაშვილის გამჭოლი პასის შემდეგ ენდელაძე საჯარიმოში აღმოჩნდა და ორი ფეხბურთელის მოტყუებაც შეძლო, მისი ზუსტი გადაცემა კი კვეკვესკირმა შეირგო და შეუჩერებლივ, ძლიერი დარტყმით ანგარიში გაათანაბრა.

ამის შემდეგ მოედანზე ვითარება დაიძაბა. მსაჯს რამდენჯერმე მოუხდა მოთამაშეთა დაშოშმინება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უხეშობამ იმატა. განსაკუთრებით სტუმართა შუახაზელები გამოირჩეოდნენ.

77-ე წუთზე კუტალიამ მოედნის შუაგულში ბრძოლით მოიპოვა ბურთი და ზუსტი გადაცემით კვეკვესკირი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ დარტყმამდე უკნიდან მოცელეს. მალალურაძემ უყოყმანოდ დანიშნა თერთმეტმეტრიანი. მისი შესრულება ენდელაძემ ითავა და „ოდიში“ დააწინაურა.

ამის შემდეგ იყო მომენტები როგორც ერთ, ისე მეორე კართან, მაგრამ ანგარიშის შეცვლა ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოახერხა და „ოდიშმაც“ მორიგი სამი ქულა შეიმატა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ზუგდიდელთა გააზრებული მოქმედება და გამარჯვებისკენ სწრაფვა, რაც მათი მწვრთნელის სოსო ჭედიას დიდი დამსახურებაა.

მატჩის შემდეგ გორელთა თავკაცი ვანო თაყაძე აღელვებული ჩანდა: „რა უნდა ვთქვა. ბიჭები მონდომებით თამაშობდნენ, მაგრამ მატჩი უფრო მეტმა მონდომებამ მოიგო. დასანანი შეცდომები დავუშვით დაცვაში, საგოლე მომენტები ერთი და იმავე ფლანგიდან შეიქმნა.“

ზუგდიდელთა მთავარი მწვრთნელი კი სიხარულს ვერ ფარავდა. მისი თავკაცობით ხომ „ოდიშმა“ ასპროცენტიანი შედეგი აჩვენა: „ჩვენმა ბიჭებმა გულშემატკივარს დაანახეს, რომ ბრძოლა შეუძლიათ. მძიმე პაექრობის გადატანა მოგვიხდა და გავიმარჯვეთ. იმედი მაქვს, გუნდი კიდევ უფრო ათამაშდება და სასურველ შედეგსაც მივაღწევთ.“

# დაშლა-არმოშლა გურულად

ბათუმი
8 სექტემბერი
17 საათი
დინამო
2000 (ტევადობა 18 000)

**ბათუმი 4:0 გურია**

1:0 სიჭინავა (17), 2:0 გადელია (24), 3:0 რუსია (32), 4:0 გადელია (43)

**ბათუმი:** ტოგონიძე, ღლონტი, მ. მახარაძე, ვერემჩუკი (მჟავანაძე 77), ჭიჭველიშვილი, მინდაძე, სიჭინავა, თორლაშვილი (რომანაძე 46), კანტიძე, გადელია, რუსია (აფხაზავა 46)
*სათადარიგონი:* ფუტკარაძე, ნადირაძე, მაქაცარია, მალაყმაძე

**გურია:** გოგუა (ვარდანიძე 46), იობიძე, კაკაჩია (ლორია 46), ი. ბუხრიკიძე (ჩიქვილაძე 46), ფაცურია, თიბილაშვილი, ზ. კვეკვესკირი, ინიაშვილი, გ. გიორგაძე, მელაძე, დ. მახარაძე
*სათადარიგონი:* ბულუხია, კავთელაძე, პატარაია

**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი, ნ. რუსიშვილი, გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი); მ. ჯულაყიძე (სამტრედია)

**სფფ-ს დელეგატი:** რ. ჩილაჩავა

**გოჩა ჯანაშია ბათუმიდან**

ასეთ ჩემპიონატს რა ვუთხარი, გუშინდელი მატჩის ჩატარება სათუო იყო. მიზეზს არ იკითხავთ? „გურია“ თამაშზე უარს ამბობდა. ალბათ იცით, რომ გურულებს წინა ტურში „ოდიშთან“ საშინაო მატჩშიც არ სურდათ თამაში, მაგრამ ხელმძღვანელთა ხვეწნა-მუდარამ დროებით გაჭრა. გუნდში მდგომარეობა სასიკეთოდ არც ამ მატჩისთვის შეცვლილა და ფეხბურთელთა ბოიკოტმაც კვლავ იჩინა თავი. მხოლოდ ბოლო მომენტში შეცვალეს მათ თავიანთი მოთხოვნები და ცოტა დაგვიანებით, მაგრამ მაინც მოუწრეს მატჩს. გურულებს მხოლოდ ჩემპიონატიდან მოკვეთის შიში ავალდებულებდათ. ამ თამაშის ბედი მართლაც წინასწარ იყო გადაწყვეტილი. ისე კი, „გურიაში“ რომ დღეისათვის სიტუაციაა, მტერს არ ვუსურვებთ, რა უნდა მოსთხოვო იმ გუნდის ფეხბურთელებს, რომელთაც ხელფასი და პრემია (საკონტრაქტო თანხებზე ხომ საუბარი ზედმეტია) თვალით არ უნახავთ, ხოლო ამ მატჩის წინ წყალწყალა ბორშჩით გაიჭყიპნენ და ლამის მშიერნი აბა რა ხეირს გადააწყდებოდნენ.

გურულებთან „ბათუმის“ პრობლემები რა მოსატანია, მაგრამ ფაქტია, რომ ზღვისპირელებს ამ ტურისთვის ოდენ 2 ქულა გააჩნდათ და ცხრილში უჩვეულო ბოლოდან მეორე ადგილი ეკავათ, თუმც წინა მატჩში ქუთაისში მოპოვებულ მართლაც საოცარ ქულას წესით „გურიასთან“ უეჭველი სამი ქულა უნდა მოჰყოლოდა და ასეც მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლებმა ავადმყოფობის გამო მაჭუტაძე და ტუღუში მოისაკლისეს, მაინც იოლად იმარჯვეს ნირწამხდარ და დემორალიზებულ გურულებთან.

მატჩი ორივე გუნდმა საკმაოდ დუნედ დაიწყო და პირველი თხუთმეტი წუთი ქაოსური ბურთაობაც გაჩაღდა. პირველი ხიფათი მატჩში კანტიძემ შექმნა მე-17 წუთზე, როცა საჯარიმოს წინა ხაზთან მყოფმა მძლავრი აბრაგანი დაჰკრა, მაგრამ ბურთი ხარიხას გადაშორდა. ორიოდ წუთში თითქმის იგივე პოზიციიდან სიჭინავამ ივარგა და ჩვეული საჯარიმოდან დარტმული ბურთი გოგუას მარცხენა ცხრიანში მოუთავსა. ხუთ წუთში „ბათუმმა“ პირველის მსგავსი საჯარიმოთი ანგარიში გააორა. დარტყმა ამჯერად გადელიამ შეასრულა.

ამის შემდეგაც ზღვისპირელთა უპირატესობა კვლავ თვალშისაცემი გახლდათ. განსაკუთრებით რუსია ცდილობდა გატანას და მისმა აქტიურობამ მალე შედეგიც გამოიღო, როცა თავის საჯარიმოში ჭიჭველიშვილმა მოიგდო ბურთი და შეტევაც წამოიწყო, რომელიც კანტიძემ გააგრძელა და დიდებული გადაცემით რუსია გოგუას დაუპირისპირა. მანაც მეპასეს გარჯა დაუფასა და თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვა. ტაიმის ბოლოს კი ასისტენტობა უკვე თავად რუსიამ ითავა და გადელიას დუბლი გაახერხებინა.

მეორე ტაიმში მოხდა ფაქტი, რომელიც სტადიონზე მოსულ ქომაგთაგან იქნებ ბევრმა ვერც კი შეამჩნია. „გურიამ“ თამაში კაცნაკლულმა გააგრძელა. არა, არვინ არ გაუძევებიათ. მიზეზი თითქოსდა უბრალო იყო — ერთ-ერთმა გურულმა ფეხბურთელმა თამაში არ ისურვა. მოკლედ, კომენტარი ზედმეტია. ისე კი მეორე ტაიმის დაწვრილებით აღწერას აბა, რა აზრი აქვს. გეტყვით უბრალოდ, რომ მასპინძლებს დიდად არ გამოუდვიათ თავი, მხოლოდ შეცვლაზე შემოსული აფხაზავა და რომანაძე აქტიურობდნენ, რომლებმაც სამჯერ გაიტანეს კიდეც, მაგრამ ამაოდ — სამჯერვე თანამსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა. გურულთა შორის ტრადიციულად გიორგაძე ცდილობდა თამაშის გამწვავებას და რიგ ეპიზოდებში მაყურებელთა ტაშიც კი დაიმსახურა, მაგრამ „გურიას“ რა? არაფერი.

# ქარ და წყალ წაღებულნი

სამტრედია
8 სექტემბერი
17 საათი
ეროსი მანჯგალაძე
2 000 (ტევადობა 15 000)

**იბერია 2:3 ლოკომოტივი**

0:1 გოდერძიშვილი (2), 1:1 ვ. გიგიაძე (21), 1:2 გოდერძიშვილი (40), 1:3 ბალაშვილი (45), 2:3 ჩომახიძე (54)

**იბერია:** ჩაჩუა (ა. ლაბაძე 46), სადილიანი, გ. ლურსმანაშვილი (ქობესაშვილი 46), გეგეშიძე, ი. გიგიაძე, ამაშუკელი (ბაკურაძე 81), ჩომახიძე, ხუჭუა, ვ. გიგიაძე, დარასელია, ბრეგვაძე
*სათადარიგონი:* გ. ჭელიძე, ნიკოლეიშვილი, მიქელთაძე, ივეჩიანი

**ლოკომოტივი:** დ. ჯანელიძე, ბალაშვილი, არსოშვილი, კაციაშვილი, თარხნიშვილი, ხორგუაშვილი (ბაქრაძე 79), მარლიშვილი, კ. მელქაძე, დაუშვილი, გოდერძიშვილი (მ. მინდიაშვილი 60), ნ. მინდიაშვილი (ქვარცხავა 80)
*სათადარიგონი:* დოლაბერიძე

**გაფრთხილება:** გეგეშიძე (56), სადილიანი (62), ბალაშვილი (65)

**მსაჯები:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი), ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

**სფფ-ს დელეგატი:** გ. პეტრიაშვილი

**კონსტანტინე გოგიშვილი სამტრედიიდან**

სამტრედიელმა ფეხბურთელებმა გულშემატკივარს იმედი გაუცრუეს. სამტრედიაში ქარი კი ქროდა, მაგრამ საეჭვოა, მხოლოდ ამას შეეშალა ხელი მასპინძელთათვის, თბილისელებს რომ ნორმალურად დახვედროდნენ. მათ (სტუმრებმა) უკვე მეორე წუთზევე გამოაჩინეს ბრჭყალები და მას შემდეგ, რაც ბალაშვილმა საჯარიმოში ჩაჰკიდა მასპინძელთა კარის წინ, ტანმორჩილი გოდერძიშვილი მარტო აღმოჩნდა მეკარესთან და მშვიდად გადაატარა ჩაჩუას ბურთი თავზე. მეკარე მას კი წაეპოტინა, მაგრამ მეტი ვერ შეძლო და ანგარიშიც გაიხსნა.

ამის შემდეგ მასპინძლებმა შტურმი მოუწყვეს სტუმრებს. მარჯვნიდან ჩომახიძე, მარცხნივ ამაშუკელი და ვასო გიგიაძე მონაცვლეობით აწუხებდნენ რკინიგზელებს, მაგრამ გოლი არა და არ ჩანდა. განსაკუთრებით ჩომახიძე აქტიურობდა, თუმცა იგი უმეტესად მარტო ცდილობდა ფონს გასვლას და სამიოდ მეტოქის მოტყუების შემდეგ, როგორც წესი, ბურთს კარგავდა. გოლი კი მაინც მისი აქტიურობის შედეგად გავიდა. 21-ე წუთზე ჩომახიძე-გიგიაძე-ჩომახიძე-გიგიაძის კლასიკური კომბინაცია, ასევე კლასიკური, შეიძლება ითქვას, ბრწყინვალე დარტყმით დაასრულა ვასო გიგიაძემ და ჯანელიძეს მარცხენა ცხრიანში გაუტანა. ჭეშმარიტად გოლიშედევრი ვიხილეთ. ანგარიშის გათანაბრების შემდეგ კვლავ შეუტიეს სამტრედიელებმა, მაგრამ მათ იერიშებს ბოლო ფაზაში სიმწვავე აკლდა, რამაც შედეგზეც იქონია გავლენა, თემურ მახარაძის შეგირდები კი კვლავ გამართულ ფეხბურთს თამაშობდნენ, ძირითადად კონტრშეტევაზე ააგეს შეხვედრა და ტაიმის ბოლოს ორჯერ დაიჭირეს უნიათოდ მოთამაშე გეგეშიძე და ლურსმანაშვილი პოზიციურ შეცდომაზე. ჯერ კვლავ გოდერძიშვილმა შეიშნო დაუშვილის ჩაკიდებული, მერე კი მელქაძემ აუწერელი სილამაზის გამჭოლი პასით ბალაშვილი მეკარესთან პირისპირ დატოვა და მესამე ბურთ გაატანინა.

ბადრი ქორიძემ მეორე ტაიმში მეკარე და წინა ცენტრალური მცველი ლურსმანაშვილი შეცვალა, რადგან მათი თამაშით უკმაყოფილო დარჩა. ტაიმი კვლავ მასპინძელთა შტურმით დაიწყო, თანაც მთელი რიგი ტაქტიკური ცვლილებები მოხდა „იბერიაში“. ჩომახიძემ გამთამაშებლობა ითავა, ხუჭუა ვასო გიგიაძეს დაეხმარა საჯარიმოში, გიორგი დარასელიამ კი თავდამსხმელთა უკან დაიწყო თამაში. გოლიც ძუკუს კლასიკურ, ჩვეულ პასს მოჰყვა. შოთა ჩომახიძემ კი კლუბის საპატიო პრეზიდენტის გადაცემული ბურთი მარჯვენა ფეხზე მოირგო და ლამაზადაც მოჭრა. არ ვიცით, იყო თუ არა სამტრედიული ქარი ამ გოლში დამნაშავე, მაგრამ მეკარე ჯანელიძე რომ რაღაცამ მოატყუა, ფაქტია, დათოს ადვილად შეეძლო ბურთის დაჭერა, მაგრამ რატომღაც წინ გამოვიდა, ჩომახიძის დარტყმული ყოველივე 54-ე წუთზე მოხდა. დრო საკმაოდ რჩებოდა, მაგრამ ამის მერე პირიქით სტუმრები გააქტიურდნენ და ერთი ორჯერ „უჩხვლიტეს“ კიდეც „იბერიის“ კარის დარაჯს. მასპინძელთა ცენტრალური მცველები კვლავ ცდებოდნენ პოზიციურად, ნახევარდაცვა კი საგრძნობლად დაიღალა და აირია.

მაყურებელმა, თითქოს თავისი გუნდის კაპიტულაცია იგრძნოო, ყიჟინას და ხორხოცს უმატა და ერთი ორჯერ შეხვედრის არბიტრიც „მოიკითხა“. ფეხბურთელებმაც ცეცხლზე ნავთი დაასხეს და თამაში შეხლა-შემოხლაში გადაზარდეს. ემოციურობით განთქმულ სამტრედიელ მაყურებელსაც რაღა წაქეზება უნდოდა...

დრო სწრაფად იწურებოდა, თანაც სტუმრებს ყველა ცნობილი ხერხით გაჰყავდათ იგი და ხალხიც პირდაპირ აეკრა მავთულის ბადეს.

გუნთაძემ, რომელიც ბოლო წუთებში რისხვის ობიექტად იქცა, მხოლოდ ორი წუთი დაუმატა მატჩს და რისხვა და გინება მერე უნდა გენახათ...

აღშფოთებულ გულშემატკივართა შორის ობიექტური ხალხიც მრავლად ერია — მსაჯებს რას ვერჩით, ჩვენი ფეხბურთელები გვყავს სალანძღავიო. სწორიც იყო ის ხალხი — თამაში არც გუნთაძეს „გაუკეთებია“, არც „ლოკომოტივს“ მოუგია, უბრალოდ, „იბერიამ“ წააგო.

მსაჯმა კი, რას ვერჩით, ობიექტურად იმსაჯა.

# არსენალმა გაისროლა

რუსთავი
8 სექტემბერი
17 საათი
ფოლადი
1500 (ტევადობა 10 700)

**გორდა 0:1 არსენალი**

0:1 კაკაშვილი (49)

**გორდა:** მ. ქორიძე, ი. ხუჯაძე, ბექაური, მ. სახვაძე, ბურნაძე, კილასონია, ტარტარაშვილი (ლაბაძე 71), ზირაქაძე (ჩოხელი 71), მჭედლიძე (ლ. ალადაშვილი 81), ჩუხუა, კ. ალადაშვილი
*სათადარიგონი:* ბედიაშვილი, შ. კაპანაძე, დ. მენთეშაშვილი, კოპალიანი

**არსენალი:** ჩლაიძე, ყუფარაძე, ცერცვაძე, შ. ლაცაბიძე, გემეზაშვილი, მ. მაისურაძე, ყოლბაია, ლომიძე, კორღალიძე (ქიქავა 82), კაკაშვილი (ხოსროშვილი 71), ტარიელაშვილი (სულაძე 89)
*სათადარიგონი:* კუპატაძე, დ. კაპანაძე, ამირიძე

**გაფრთხილება:** ბურნაძე (28), გემეზაშვილი (40), ცერცვაძე (89)

**მსაჯები:** ს. კახიანი, ზ. დოლიძე, ს. შალამბერიძე; ე. სილაგავა (ყველა თბილისი)

**სფფ-ს დელეგატი:** კ. ყრუაშვილი

**კობა ინასარიძე რუსთავიდან**

წესითა და რიგით გუშინ რუსთაველებს უნდა მოეგოთ, მაგრამ, „გორდას“ სამწუხაროდ, პირიქით კი მოხდა. არა, ასეთი თამაშით იასონ ალადაშვილის შეგირდებს ნამდვილად გაუჭირდებათ ჯგუფში ადგილის შენარჩუნება, რაც, ვფიქრობთ, „გორდას“ ერთადერთი სურვილ-მიზანი უნდა იყოს მიმდინარე ჩემპიონატში.

მთელი პირველი ტაიმი ერთი სახიფათო მომენტი რაა, მობურთალებმა ისიც ვერ შექმნეს. „არსენალს“ არც არაფერი ენაღვლებოდა. ჩემპიონატის აუტსაიდერი სტუმრად ფრეზე უარს აბა როგორ იტყოდა. „გორდა“ თითქოს მეტოქის შეცდომას ელისო, ნელა აგორებდა ბურთს, სიზარმაცით კი ვის რა შეუქმნია, რუსთაველთ რომ მოეგოთ. მასპინძელთაგან მხოლოდ მოთამაშე-მწვრთნელი ვარლამ კილასონია აქტიურობდა, პარტნიორთა აყოლიებასაც ცდილობდა, მაგრამ ახალგაზრდებმა მას ვერ მიბაძეს. სტუმართაგან კი მწვრთნელის ვაჟი — ლევან კორღალიძე გამოირჩეოდა. იგი თამაშსაც ალაგებდა და შავ სამუშაოსაც ბლომად ასრულებდა.

მეორე ტაიმიც პირველის მსგავსად დაიწყო, მოედნის ცენტრში უაზროდ გაგორებული ბურთი არც ქორიძემდე აღწევდა, არც ჩლაიძემდე. ოთხ წუთში კი თბილისელებმა გაიხარეს: „არსენალის“ დებიუტანტმა გემეზაშვილმა მარცხნიდან შეუტია, მერე გამოზომილად მიაწოდა საჯარიმოს კუთხესთან უმეთვალყუროდ დარჩენილ კაკაშვილს, რომელმაც ქორიძეს მოძრაობის საპირისპიროდ, მეკარისგან ახლო კუთხეში დაურტყა ბურთი და, როგორც მერე გაირკვა, გუნდს გაამარჯვებინა. გოლის შემდეგ „გორდას“ ველარ იცნობდით. გააქტიურდნენ, ბრძოლაც დაიწყეს, მაგრამ დააგვიანეს. ოთარ კორღალიძემ კილასონიას პერსონალური მეურვეობა ყოლბაიას დაავალა. მეთოდმაც გაჭრა. თუმცა „გორდას“ კაპიტანი მაინც დიდი ძალა იყო. მთელი გუნდი მასზე თამაშობდა და ერთი ორჯერ ჩლაიძის კარსაც საფრთხე რეალურად დაემუქრა. ხოლო, როცა კილასონიას გრძელ გადაცემას ჩუხუამ ორიგინალური მაკრატელა მიაყოლა და ბურთი ოდნავ ასცდა სტუმართა კარს, არსენალელები მთლად დაიბნენ და რამდენჯერმე კინაღამ ძალად გაატანინეს მასპინძლებს გოლი. ისე, მთელი მატჩის ხილვა მხოლოდ ჩუხუას მაკრატელასთვის ღირდა, იმდენად ლამაზი გადაცემა და დარტყმა იყო. მერე „არსენალს“ ორჯერ ურეალურესი მომენტიც შექმნა: ქორიძესთან პირისპირ გასულ ტარიელაშვილს ბურთი ფეხებში აებლანდა და მცველებმა დაასწრეს, მეორედ კი მეკარესთან ცხვირწინ დარჩენილმა გემეზაშვილმა თავური ააცილა და მორჩა.

# გუცაევმა, მალდა ჭამაშიო

შაბათს საღამოს ალბანელებთან მატჩის მერე საქართველოს ეროვნულმა გუნდმა ვლადიმერ გუცაევის ხელმძღვანელობით პირველი ოფიციალური სამი ქულა მიითვალა და ერთი ტურის შემდეგ მეორე ადგილზე ამოჰყო თავი. ახლა ჩვენები ლატვიელებს ჩამორჩებიან, ისიც ბურთების უარესი სხვაობის გამო, თორემ ქულებით თანაბრად ვართ. ჰოდა, 10 ოქტომბერს, რიგაში ჯგუფის ლიდერთა მატჩია, ძოძუაშვილის გაწვრთნილი ლატვია — მისი ქვისლი გუცაევის შეგირდთა ნაკრებს უმასპინძლებს.

ჩვენებურები სამატჩოდ უკვე შეუდგნენ მუშაობას. გუცაევს რიგაში სტუმრობა



გუცაევი: ერთი-ორი ქვისლი ყველა ნაკრებში უნდა გვყავდეს

ხუთი დღით ადრე განუზრახავს, რათა ბიჭები თამაშის ადგილას შეკრიბოს და აკლიმატიზაციის პრობლემა გადაჭრას. წინასწარ რაიმეს თქმა ძნელი კია, მაგრამ სავარაუდოდ მწვრთნელი ლატვია — საბერძნეთში სადღეისოდ უძლიერეს შემადგენლობას წაიყვანს. ეროვნულს ალბათ „შახტიორის" მიხეილ ფოცხვერიაც დაემატება, რომლის ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია რიგის მატჩის მერე იწურება და ბერძნებთან ბურთაობის უფლება ექნება. გუცაევს უკვე თამაშის უფლებამოპოვებული მიშა ყაველაშვილის გამოძახებაც აქვს ჩაფიქრებული და შაბათს გაძევებული ზაზა ჯანაშიასიც, რომელსაც უეფა ალბათ ერთი მატჩით თამაშს აუკრძალავს. მწვრთნელი მხოლოდ კახა ცხადაძეს მოისაკლისებს მძიმე ტრავმის გამო, ხოლო შელია, შეყილაძე, გახოკიძე და შოთა არველაძე 10-მდე როგორმე გამოჯანმრთელდებიან. საქართველოს ნაკრები ლატვია — საბერძნეთს ჩარტერული რეისით გაფრინდება, როგორც გითხარით, სავარაუდოდ ხუთი დღე რიგაში გაჩერდებიან, ბალტიისპირელებთან მატჩის დამთავრებისთანავე კი ქართველები პირდაპირ ათენს მიაშურებენ.

ასე რომ, 10 და 14 ოქტომბერს ქართველთა რჩეულ ფეხბურთელებს მორიგი ომი ელით. დიახ, საფეხბურთო ომი. ეჭვი არაა, ჩვენები მხოლოდ მოსაგებად გაემგზავრებიან, მით უმეტეს, როცა საამისო სტიმული ისეთი აქვთ, კაცი უკეთესს ვერ ინატრებს. როგორია, მთავარ კონკურენტებს უკვე სამი და ორი ქულით ვუსწრებთ. ნეტავ ვლადიმერ გუცაევის გუშინ ნათქვამი სიტყვები მართლაც ახდეს და მიმდინარე წლის ბოლოს ჩვენი ნაკრები ცხრილს ერთპიროვნულად მოექცეს სათავეში მინიმუმ სამქულიანი უპირატესობით. ამას არაფერი აჯობებს.

გუცაევმა კი დაგვაიმედა: „ალბანეთი უეჭველად გაამწარებს ბერძნებს, სლოვენები კი ნორვეგიელებს რა დღეს აყრიან, ესეც საკითხავია. ჩვენთვის მთავარი ლატვიაში კარგი თამაშია, დღეისთვის ეს მაქვს გულში ამოჭრილი, რიგაში მოგების შემთხვევაში, ბერძნებსაც ღირსეულად შევებრძოლებით. დასათმობი აბა, ვისთვის რა გვაქვს, ან კი როდის დაგვითმია, ახლა რომ ყურები ჩამოვყაროთ. მე ათენშიც წარმატებული თამაშის იმედი მაქვს. ჩავალთ საბერძნეთში და ვნახოთ, რევანში ხომ ასაღები გვაქვსო."

ჩვენც უახლოესი ორი თამაშის გვეიმედება, რამეთუ ევროპის ჩემპიონატზე თამაშის პრეტენზიის მქონე გუნდმა ლატვიაშიც და საბერძნეთშიც უნდა თქვას, ამბიციები გვაქვსო.

როცა გუცაევს ნორვეგია — ლატვიისა და საბერძნეთ — სლოვენიის შედეგებზე შევეკითხეთ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რას გვიპასუხებდა: „მალდა ჭამაში მოდისო, ბერძნებსაც რომ წაეგოთ, მაშინ იქნებოდა, რაც იქნებოდა. ახლაც დამტკიცდა, ფეხბურთის თამაში ყველამ ისწავლა და ხელწამოსაკრავით არავინაა. მეტოქეს ცერად შეხედავ თუ არა, იმავწამს დაისჯები. როგორც თავად მოითხოვ საკუთარი თავის მიმართ პატივისცემას, ასევე უნდა მოექცე მეტოქეს. გაიხსენეთ, ადრე რამდენჯერ მითქვამს, ისეთ ჯგუფში მოვხვდით, სადაც ყველა ყველასთან დაკარგავს ქულებს-მეთქი. აჰა, საბედნიეროდ, უდანაკარგონი მხოლოდ ჩვენ და ლატვიელები ვართ, ღმერთმა ქნას, 10-ის მერე ასეთი მხოლოდ საქართველო იყოს. ლატვია არაა ის გუნდი, ვისთან მოგებაც განუხორციელებელი ოცნებაა, პირიქით, რიგაში გამარჯვება სავსებით რეალური მგონია. ბერძნებზეც იგივეს ვიტყვი, ახალი მწვრთნელის ფაქტორი ჩვენს სასიკეთოდ უნდა გამოვიყენოთ, ჩვენთან თამაშამდე ანგელ იორდანესკუ ვერ მოასწრებს ფეხბურთელებისთვის თავისი იდეების ბოლომდე გადაცემას. მით უმეტეს, ბერძნები თუ ალბანეთში დამარცხდნენ, რაც ადვილი მოსალოდნელია, ისინი ფსიქოლოგიურ სტრესში იქნებიან და იქნებ ჩვენი შეეშინდეთ, შიშის დროს კი საქმეს რომ ხუთიანზე ვერ გააკეთებ, ყველამ უწყის."

გუცაევი სხვა თანაჯგუფელთა შედეგებმა ძლიერ გაახარა. ისიც თქვა, იმედია, 10 ოქტომბერს ამაზე მეტად გავიხარებთო.

**კობა ინასარიძე**



ალფრედ გუსტაფსენი და კონსტანტინოს პოლიქრონიო

# მეტეოქეეგმა დაგვზვერეს

საქართველო — ალბანეთის მატჩამდე ქართველ ჟურნალისტებს ისევ პრობლემები შეგვექმნა. ისევ კუთვნილ ადგილებზე დასხდომა-არდასხდომა, ნებადართულ ტერიტორიაზე მოძრაობა-არმოძრაობა იყო პოლიციელებთან დავის მიზეზი. ვიკამათეთ, ხმასაც ავუწიეთ, ბოლოს ფედერაციის თანამშრომლები და მაღალჩინოსანი პოლიციელებიც ჩავრიეთ საქმეში და როგორც იქნა, საწადელს მივაღწიეთ. მართალია, ნერვების წყვეტის ფასად, მაგრამ... ერთმა პოლიციელმა ისიც კი თქვა, თქვენთვის რა აზრი აქვს, აქ (გასახდელების მიმდებარე ტერიტორია იგულისხმება) იდგებით, თუ „დინამოს" რესტორანთანო. აზრი როგორ არა აქვსო, ვუთხარით და აგერ, ბატონო, ჩვენი სიმართლის დამამტკიცებელი კიდევ ერთი ფაქტი.

დარწმუნებული ვარ, ალფ გუსტაფსენს და კონსტანტინოს პოლიქრონიოს მატჩის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე რესტორანთან ვერ შევხვდებოდი. ისინი სწორედ იქ ბაასობდნენ, სადაც თურმე ჩვენი ყოფნა „სასტიკად" აკრძალულია. დანარჩენთაგან ქცევითა და იერით გამორჩეულნი ვინ იყვნენ, ალბათ მიხვდებით — ალფ გუსტაფსენი, ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელი და საქართველო-ალბანეთის მატჩის მზვერავი, კონსტანტინოს პოლიქრონიო, იორდანესკუს დანიშვნამდე ბერძენთა ნაკრების მწვრთნელი, ახლა კი მისი თანაშემწე და მომავალ მეტოქეთა თამაშის შემსწავლელი კაცი. დიახ, 5 სექტემბერს ორივე თბილისში გახლდათ, ორივეს ერთი საფიქრალი ჰქონდა და „სამგურალის" თავკაც გაიოზ დარსაძის შუამავლობით თავაზიანადაც დაგვთანხმდნენ მატჩისწინა ინტერვიუზე. პოლიციელებმა კი, რა აზრი აქვს, სად იდგებითო...

**— საქართველოს ნაკრებს თუ იცნობთ?**

*გუსტაფსენი:* გიცნობთ, მაგრამ არ გიცნობთ. სრულყოფილი ინფორმაცია არ გვაქვს. ნორვეგია — საქართველოს მატჩს თუ არ ჩავთვლით, მეტად ქართველების თამაში არ მინახავს. დღევანდელი შეხვედრის იმედი მაქვს. ოფიციალური მატჩია, თქვენები აღარაფერს დამალავენ, პოტენციას სრულად წარმოაჩენენ.

*პოლიქრონიო:* — საერთოდ ჭურში ვარ. როცა იონანინაში ქართველებს ვძლიეთ, მხოლოდ მაშინ, ისიც მწვრთნელის რანგში ვიხილე თქვენებურთა ბურთაობა.

**— მსოფლიოს ჩემპიონატისა და ახალი მწვრთნელის დანიშვნის შემდეგ ნორვეგიის ნაკრების თამაში მნიშვნელოვანად შეიცვლება?**

— ვეცდებით უფრო ჭკვიანურად ვიმოქმედოთ. ეგილ ოლსენი ჩაწოდებებსა და თავით თამაშს ასწავლიდა ფეხბურთელებს, ბურთის გაგორება მეორეხარისხოვნად მიაჩნდა. სემბა კი პირიქით, მინდორზე თამაშს ქადაგებს.

**— საბერძნეთში?**

— რა ვიცი, ჩემს დროს ნაკრები 3-5-2 ტაქტიკური სქემით თამაშობდა. იორდანესკუ რას ფიქრობს, ჯერჯერობით ჩემთვის უცნობია. სლოვენიასთან ტაქტიკურად როგორ დამოძღვრავს ფეხბურთელებს, მისი საქმეა. მე თბილისში ვარ, საქართველო — ალბანეთის საცქერლად.

**— თქვენი გუნდების შემადგენლობაში ცვლილებები ბლომად იქნება?**

*გუსტაფსენი:* — ბირთვს შევინარჩუნებთ. სემბა რამდენიმე ახალი ფეხბურთელის დამატებას კი აპირებს, მაგრამ ძირითადად მაინც ძველებზე აქვს აქცენტი.

*პოლიქრონიო:* იორდანესკუმ მხოლოდ ორ ახალ ფეხბურთელს უხმო. დანარჩენები ჩემს დროსაც თამაშობდნენ.

**— ანდრო კიურჯიევსაც პირველად თქვენ დაუძახეთ?**

— ეგ ვინაა?

**— თქვენებურად ნინიადისი. თბილისში გაზრდილ ბიჭზე გეკითხებით.**

— აა, ანდრეას ნინიადისი ძალიან კარგი ბიჭია. დიახ, მე ვუხმე ნაკრებში და ალბათ არც იორდანესკუ იუარებს ასეთ ფეხბურთელს.

**— საქართველოს ნაკრებს ფაქტობრივად არ ვიცნობთო, კი თქვით, მაგრამ რაღაც მაინც ხომ იცით?**

*პოლიქრონიო:* მაშინ, იონანინაში, ქართული გუნდი ძალიან მომეწონა, განსაკუთრებით ნახევარმცველები გამოირჩეოდნენ, თამაშს სწორედ ისინი წარმართავდნენ. ახლაღა გამახსენდა, საბერძნეთში რომ თამაშობდა — თემურ ქეცბაია, მგონი, იონანინაშიც ითამაშა, გონიერი, შემტევი სტილის ნახევარმცველია. მის გარდა არავის ვიცნობ. იმედია, დღეს გავიცნობ.

*გუსტაფსენი:* ბევრს ვერც მე გეტყვით. ქინქლაძე, შელია, ნემსაძე, არველაძეები, ყაველაშვილი გამიგია, თამაშიც მინახავს-მეთქი, ხომ ვთქვი. ჰოდა, საქართველოს ნაკრებმა ნორმალური ფეხბურთი ითამაშა, სოლბაკენს რომ მატჩის ბოლოს პენალტი არ გაეტანა, მაშინ ვერც მოვიგებდით. ისე, ერთიც გყავთ ძალიან ძლიერი ფეხბურთელი — ჯამარაული მეტად ტექნიკურია, უბურთოდაც კარგად მოძრაობს. მისით მოხიბლული დავრჩი.

**— ნორვეგიის ნაკრებს, ჩვენი არ იყოს, მსოფლიოს ჩემპიონატზე დაცვაში ჰქონდა პრობლემები, კონტრშეტევები ეპარებოდათ.**

— პირიქით მგონია, დაცვა საკმაოდ ძლიერი რგოლია და კონტრშეტევებზე იქით ვთამაშობთ-ხოლმე. ჩვენი ფეხბურთი სწორედ ეგაა, თუმცა მეტოქესაც გააჩნია. თუ საშუალება მოგვცეს, სხვანაირადაც ვეთამაშებით. თქვენგან განსხვავებით, ჩვენ გუნდურ თამაშს ვანიჭებთ უპირატესობას.

**— საბერძნეთიც დაცვაშია ძლიერი?**

— ჩვენი მთავარი კოზირი სისწრაფე და ძლიერი, ზუსტი დარტყმებია. კომბინაციური ფეხბურთის მიმდევრები ვართ. ჩაწოდებებს იშვიათად მივმართავთ.

**— საქართველოს ნაკრებს მოუგებთ?**

*გუსტაფსენი:* თბილისში ფრედ ვითამაშებთ, ოსლოში კი უეჭველად მოგიგებთ.

*პოლიქრონიო:* რა ვიცი, ჩემი სურვილი კია, ბერძნებმა ყველა თამაში მოიგონ, მაგრამ ყოველთვის ასე არ ხერხდება.

**— ბერძნებსაც მოუგებთ ოსლოში?**

— ვერ გეტყვით, ფეხბურთში ყველაფერია მოსალოდნელი.

**— ჯგუფის ფავორიტად ვინ მიგაჩნიათ?**

*გუსტაფსენი:* ნორვეგია გაიმარჯვებს, თუმც ბერძნებისა და ქართველების გვეშინია.

*პოლიქრონიო:* საქართველო, ნორვეგია, საბერძნეთი თითქმის თანაბარი ძალისანი არიან, ამიტომაც წინასწარ მიჭირს, რაიმე ვთქვა, ფავორიტი ჩვენს შორისაა საძებნელი.

სტუმრებს საქართველო-ალბანეთის მატჩამდე რამდენიმე წუთით ადრე ვესაუბრეთ. მერე გუსტაფსენი და პოლიქრონიო ლოჟაში მოკალათდნენ, გამუდმებით რაღაცას ინიშნავდნენ.

თბილისი კარგი განწყობით დატოვეს მზვერავებმა, თუმცა ლატვიელები და სლოვენები მათ გუნებას საკმაოდ წაუხდენდნენ, საბერძნეთში მყოფი ვლადიმერ პანოვი კი შინ კარგ ხასიათზე გამობრუნდა.

**კობა ინასარიძე**

# როდის სცემენ (პატივს) ჩივაძეს?

თუკი სანაპიროდან მუშტაიდის ასასვლელი გადაკეტილია, ეჭვი არაა, იმ დღეს ეროვნულ სტადიონზე ფეხბურთია. ამაში უკეთ დარწმუნდებით და, გზათა ჩახერგვის მიზეზიც მავან უცხოელ მაღალჩინოსნის ვიზიტში არ აგერევათ, თუ სტადიონის მისადგომებს ძველი კინოსტუდიის, ვახუშტი ბაგრატიონისა და დიდუბის ქუჩათა გადაკვეთის ანაც ბაზრობის მხრიდან მოინახულებთ.

თბილისში ფეხბურთი თუა და, მით უმეტეს ჩვენი ფედერაციის გენსეკის არ იყოს, ამხელა გუნდი ჩამოდის, როგორიც ალბანეთია, ლამის ნახევარი დიდუბე და მეტადრე სტადიონის უბანი ალყაშემორტყმულია.

პოლიციელის, თანაც ამდენის (ჯერაც მილიციასთან რომ ასოცირდება), ხილვა, აბა, ვის ეპიტნავება, მაგრამ ასეთ დროს მცირედი იმედიცაა, საღამო მშვიდობიანად ჩაივლის, ამხელა კორდონს სტადიონზე კაცი რაა, უბილეთო ისიც კი არ გაეპარებაო.

გულზე ხელის დადებით ვთქვათ: რამდენჯერ ყოფილა, ლობეზე ამძვრალი უბილეთო დაგვინახავს და თვალი აგვირიდებია, პოლიციელსაც და უბრალო ქომაგსაც ესმის გაჭირვებულისა, ფეხბურთის ნახვა რომ სწყურია. შაბათსაც იყო საჭეს მიმჯდარ სამხედრო მოსამსახურეს, პასპორტში ჩაწერის ფურცელს კორდონს ცხვირწინ რომ უფრიალებდა, შინ არ უშვებდნენ, აკრედიტაციით აღჭურვილ ჟურნალისტს სტადიონზე, პრეს-ლოჟაში. ისეც მოხდა, ხალხი თამაშის დაწყებამდე წუთებით ადრე ერთადერთ ღია კარიბჭეს რომ მიაწყდა, ბილეთიანებსაც, უბილეთოსაც კარი ცხვირწინ მიუხურეს და ხელკეტებიც უცხუნეს.

საბოლოოდ, ვისაც არ დაეზარა სტადიონზე ყველა მოხვდა, ბილეთიანიც, უბილეთოც, ჟურნალისტი თუ არაჟურნალისტი.

მაგრამ, რა უნდა ექნა, მას ვინც თბილისში ვერ ჩამოვიდა და საქენერგოს გადამკიდე თამაში ვიდეოჩანაწერშიც ვერ იხილა?

ფედერაციის ალმასკომმა ყრილობა ივლისიდან ოქტომბერში გადადო. მომდევნო თვის 23-მამდეც რაღა დარჩა, არასრული 2 თვე. ასეთ დროს ყველაზე ცუდი ფედერაციაც კი ხალხს ნაკრების თამაშს პირდაპირ ეთერში აყურებინებდა, ტელევიზია კი 80 ათას დოლარს არ იხდის, მაგრამ ნახეთ ჩვენ რა კარგები ვართ, თქვენზე მაინც ვზრუნავთო. არაფერი მსგავსი. ამიტომაც იყო, ეროვნულ სტადიონზე გუშინ დასაშვებ 36 ათასი მხილველის ნაცვლად სულ მცირე ათი ათასით მეტი რომ იჯდა. ამისთვის და მინდვრამდე მიღწეული შუშის ბოთლისთვის უეფა ცხადია დაგვაჯარიმებს — ფედერაციას ჯიბეს შეუთხელებს და ალალიც იქნება. თუკი ბათუმში ხერხდება საერთაშორისო მატჩების სწორად ორგანიზება, ეროვნული სტადიონი რა გახდა? რატომ უნდა სჭირდებოდეს ჟურნალისტს სტადიონზე მოსახვედრად პოლიციელთან (ზოგჯერ არაფხიზელთან) დავა-კამათი და საქმის შედგომამდე ნერვების წყვეტა?

ჩვენი ფედერაციის თავკაცობამ საკუთარ თავზეც გამოსცადა პოლიციელთა გაურჩევლობა, რუსეთთან მატჩისას კარიბჭესთან რომ აყურყუტეს. ამ საქმეს კი მაინც არ ეშველა. ნეტა როდის ეშველება, ნუთუ მხოლოდ მაშინ როცა, სტადიონის კარში ჩამდგარი სამართალდამცავი უბრალო ქომაგთა მსგავსად ხელკეტით ფედერაციელებსაც შეეხება.

ისე, ძალიან შორს, მგონი, აღარც ეს დღეა.

**ვახტანგ ბზიკაძე**

# შატალოს დღე ფედერაციაში

შაბათს გაიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიის სხდომა, რომელსაც უნდა განეხილა საქართველოს თასის 1/64 ფინალში „კოლეჯი" — „შუქურასა" და ეროვნული ჩემპიონატის მეორე ჯგუფში „ჭაბუკიანი" — „უნივერსიტეტის" მატჩებში მომხდარი ინციდენტები.

აჭარელთა შეხვედრისას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მთავარ მსაჯს. სხდომაზე დაზარალებული ურუშაძე და „შუქურას" წარმომადგენლები კი გამოცხადდნენ, მაგრამ დელეგატი მიქაუტაძე არ მივიდა, რის გამოც საკითხის განხილვა სახუთშაბათოდ, ათი სექტემბრისთვის გადაიდო, ისევე როგორც „ჭაბუკიანი" — „იბერიას" მატჩის ინციდენტისა. მიზეზად აქაც პასუხისმგებელ პირთა გამოუცხადებლობა დაასახელეს.

სადისციპლინო კომისიამ სამთამაშიანი დისკვალიფიკაცია გამოუტანა ალან ცინცაძეს (თბილისის „იბერია"), ორმატჩიანი თამაზ ციცქიშვილს (დილა), მიხეილ გრიგოლაშვილს (ქარელის „იბერია") და დავით ქლიბაძეს („უნივესიტეტი"), გიორგი გაბელიას (თსუ), ზვიად პაპიძეს („ბათუმი"), ვახტანგ გველესიანს („არსენალი"), ზურაბ მენთეშაშვილს („ვიტ ჯორჯია"), ლაშა კარელიძეს („დილა 2"), და მამუკა ნანიშვილს („ცხუმი") კი თითო თამაშით დასვენება აკმარა.

შაბათსვე 15 საათზე უნდა გამართულიყო სფფ-ს ალმასკომის სხდომა, რომელზეც „დინამო" — „მრეტების" საქმეზე ფიფაში მიღებული გადაწყვეტილება უნდა მოესმინათ და კონკრეტული ზომებიც მიეღოთ, მაგრამ ქვორუმი არ შედგა. ალმასკომის ზოგიერთი წევრის გამოუცხადებლობის გამო სხდომა გაურკვეველი ვადით გადაიდო.

**ვანო ოქროპირიძე**

# ფული თუ სული?

### მერდოკი და დედამიწა

ერთ მშვენიერ დღეს, მას-მედიის გიგანტი, წარმოშობით ავსტრალიელი რუპერტ მერდოკი მიხვდა, რომ სპორტი და უპირველესად ფეხბურთი გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ფილმები. დიახ, მერდოკმა თავისი განსაკუთრებული ალღოთი იგრძნო, რომ მის ტელეკომპანიებს სპორტულ შეჯიბრებათა ტრანსლაციები განუსაზღვრელად დიდ მოგებას მოუტანს სხვა გადაცემებთან, თუნდაც ფილმებთან შედარებით და საქმეს შეუდგა.

მერდოკის იმპერია თანდათანობით გაიზარდა და სამფლობელოები ყველა კონტინენტზე გაიჩინა. მისი წევრები ხდებოდნენ არა მხოლოდ მას-მედიის ობიექტები, არამედ სპორტული კლუბებიც.

მშობლიურ ავსტრალიაში მერდოკის „ნიუზ კორპორეიშნ" ლიგის რაგბის კლუბს „ბრისბეინ ბრონკოს" ფლობს, ხოლო იმავე ლიგის სხვა კლუბების, „ადელაიდ რამსის", „მელბურნ სტორმის", „ნორს ქვინზლენდ ქრეშერზის" და „კანბერა რაიდერსის" აქციებში საკმაოდ შთამბეჭდავად აქვს ხელი ჩაყოფილი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომლის მოქალაქეც დღეს მისტერ მერდოკი გახლავთ, მის ტელეკომპანია „ფოქსს" ნაყიდი აქვს ბეისბოლის კლუბი „ლოს ანჯელეს დოჯერზი", და როგორც ამბობენ 320 მილიონ დოლარად გახდა ლოს ანჯელესის ახალი სპორტული სარბიელის მფლობელიც, რამაც ხელ-ფეხი გაუხსნა ამ ქალაქის საკალათბურთო „ლეიკერსის" და ჰოკეის „კინგზის" ყიდვისკენ. „ფოქსს" უკვე ეკუთვნის საკალათბურთო „ნიუ იორკ ნიკსის" 20 პროცენტი. მისია „ნიუ იორკ რეინჯერსის" ჰოკეისტთა კლუბის დიდი წილიც.

ბრიტანეთში მის ტელეკომპანია BSKYB-ს შესყიდული აქვს საფეხბურთო პრემიერლიგის თამაშთა ტრანსლაციის ექსკლუზიური უფლებაც. პრემიერლიგის შუაგულში მერდოკი მისი დაარსების ანუ 1992-93 წლების სეზონიდან დაფუძნდა და ორი წლის წინ 647 მილიონ გირვანქად 2001 წლამდე გაინაღდა დიდი ფესბურთის სატელევიზიო ჩვენების მონოპოლია.

— ჩვენ დედამიწის უმეტეს ნაწილზე მთავარ სპორტულ მოვლენათა ტრანსლაციის გრძელვადიანი უფლებები გვაქვს შესყიდული და აზიაშიც ამასვე ვაპირებთ. სპორტი ჩვენი სატელევიზიო ოპერაციების მთავარ წყაროდ უნდა გადავაქციოთ — ამბობს რუპერტ მერდოკი.

და აი, რამდენიმე დღის წინ ინგლისში მეხივით გავარდა ხმა, რომ მასმედიის მაგნატი მოლაპარაკებებს აწარმოებს ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან საფეხბურთო კლუბთან „მანჩესტერ იუნაიტედთან". ბრიტანული გაზეთების „სანის" „ტაიმზის" (რომლებიც ასევე მერდოკს ეკუთვნიან) ცნობით საუბარია კლუბის დაახლოებით 570 მილიონ გირვანქად ყიდვაზე და თუ ეს ასე მოხდა რუპერტ მერდოკი გახდება მედიის პირველი წარმომადგენელი, რომელიც გაერთიანებულ სამეფოში საფეხბურთო კლუბს შეიძენს.

...და ყველაფერი მერდოკისა გახდება. „მანჩესტერ იუნაიტედი" ის კლუბია, რომელსაც ინგლისს გარეთ უამრავი გულშემატკივარი ჰყავს, მერდოკი ის კაცია რომლის ტელეკომპანია BSKYB რამდენიმე წელიწადში ციფრული ტელევიზიის ბოლო სიტყვით ამეტყველდება, ევროპა კი ის კონტინენტი გახლავთ, სადაც ამა თუ იმ ფორმით სულ მალე სუპერლიგა ამოქმედდება და მერე ფინეთში, ოთახიდან გაუსვლელად, კაცი რომ საკუთარ ტელევიზორში „იუნაიტედის" შეხვედრას გამოიწერს, ფინურად მიუვა, ნორვეგიაში — ნორვეგიულად, პრაღაში — ჩეხურად...

### მერდოკი და ფანები

დღეს „მანჩესტერ იუნაიტედი" შინ, „ოლდ ტრეფორდზე" „ჩარლტონ ატლეტიკს" უნდა შეხვდეს. ეს პრემიერლიგის მეოთხე ტურის მატჩია, „იუნაიტედს" მორიგი სამი ქულა სჭირდება, ხალხს სამი ქულა და კარგი სანახაობა. მაგრამ ყველაზე მეტად ხალხს, ქომაგებს, უფრო სწორედ კი ფანებს თავიანთი კლუბი სჭირდებათ. ამიტომაც აპირებენ დიდი საპროტესტო აქციის მოწყობას.

ლი ჰოჯკისი, „მანჩესტერ იუნაიტედის" მხარდამჭერთა ლიდერი: — ფანები არ მოისვენებენ სანამ თავისას არ გაიტანენ. ისინი მასობრივ ბოიკოტს ამზადებენ, აღარც გაზეთ „სანს" იყიდიან და SKY TV-ს აბონენტობაზეც უარს განაცხადებენ, რითაც რუპერტ მერდოკს მკაფიოდ აჩვენებენ თავიანთ პოზიციას. ხალხი უკიდურესადაა აღშფოთებული. მე ვეღარაფერს გავაწყობ. დიდი პროტესტი „ჩარლტონის" თამაშის დროსაა მოსალოდნელი. გარწმუნებთ, ვითარება მართლაც ძალიან სერიოზულია.

„ოლდ ტრეფორდთან" ბოლო ორი დღის განმავლობაში დიდი ჩოჩქოლია. ქომაგები პასუხს ითხოვენ. უპირველეს ყოვლისა კლუბის თავმჯდომარისგან, მარტინ ედუარდისისგან, რომელიც თურმე ჩუმ-ჩუმად მერდოკთან მოლაპარაკებებზე დადის.

დევიდ მონკასტერი, გულშემატკივარი, წლიური აბონემენტის მფლობელი: — გულშემატკივრებს გვაინტერესებს რა ხდება. პასუხს ვითხოვთ, მაგრამ ყრუ კედელს ვაწყდებით. უსინდისობაა. როდესაც მწვრთნელმა, ალექს ფერგიუსონმაც კი არაფერი იცის. ფულიან კაცებს ისიც სიბნელეში ჰყავთ. „მანჩესტერ იუნაიტედი" გაცილებით მეტია ვიდრე რუპერტ მერდოკი ან მარტინ ედუარდსი. რამდენიმე ადამიანის ჯიბის გასასქელებლად ვერავინ გაგვყიდის.

მარგარეტ ჰაჩინსონი, 58 წლის, ბავშვობიდან „იუნაიტედის" გულშემატკივარი: — ყოველ წელიწადს კლუბი მეტად და მეტად შორდება გულშემატკივრებს. ვიცი, დრომ ფეხბურთი დიდ ბიზნესად აქცია, მაგრამ კატეგორიულად მოვითხოვთ, მერდოკმა ჩვენი გუნდისგან ხელები შორს გაწიოს.

ჯონ დანკანი, გულშემატკივარი, წლიური აბონემენტის მფლობელი: — კლუბის თავმჯდომარეს მარტინ ედუარდსს „იუნაიტედი" მართლა რომ უყვარდეს, მერდოკს ზურგს შეაქცევდა.

### მერდოკი და ფერგიუსონი

მერდოკის განზრახვის შესახებ „იუნაიტედის" ისტორიაში ერთ-ერთ უდიდეს მწვრთნელს ალექს ფერგიუსონს ისევე არაფერი სცოდნია, როგორც გულშემატკივრებს.

— მართალია ეს კომპანიის (ამ შემთხვევაში „იუნაიტედის") საქმეა, მაგრამ ბევრს ვერაფერს ვიტყვი, რადგან არაფერი ვიცი. მინდა ფანები დავარწმუნო, რომ მათ დღესაც კლუბის მნიშვნელოვან ნაწილად აღვიქვამ — თქვა მან.

### მერდოკი და პოლიტიკოსები

პიტერ მენდელსონი ბრიტანეთის ვაჭრობისა და ინდუსტრიის მინისტრი: — ჩვენი სამინისტროს გენერალური დირექტორი პატიოსანი ვაჭრობის დარგში, ჯონ ბრიჯმენი ყველაფერს მეტისმეტად დაწვრილებით გამოიკვლევს. საქმეს მართლაც დიდი ჩაკირკიტება სჭირდება. ბრიჯმენს უამრავ კონსულტანტს დავახმართ, საბოლოოდ კი რადაც უნდა დაგვიჯდეს, სამართლიან და კატეგორიულ ვერდიქტს გამოვიტანთ.

ტონი ბენქსი, სპორტის მინისტრი: — ეს ის საკითხია, სადაც ჩვენმა სამინისტრომ პატიოსანი - კონკურენციის - პირობები უნდა შეამოწმოს. ახლავე ვიცი, რომ ზოგ-ზოგს დიდი უსიამოვნება ელის.

ტონი ლოიდი, საგარეო საქმეთა მინისტრი: — მინისტრები მალე ვნახავთ, რომ ჩვენი კაბინეტებისკენ ვიღაც-ვიღაცეები გზების გაკაფვას შეეცდებიან.

ჯო ეშტონი, პარლამენტის წევრი, ლეიბორისტი: — ვაჭრობისა და ინდუსტრიის სამინისტროს ბევრი პარლამენტარის კატეგორიული მოთხოვნის მოსმენა მოუწევს. მერდოკის მოქმედებას მკაცრი მეთვალყურეობა სჭირდება.

### მერდოკი და ანალიტიკოსები

პოლიტიკოსთა გამონათქვამების ფონზე ანალიტიკოს — ექსპერტთა შეხედულებები საკმაოდ მკაფიოა. მაგალითად ერთ-ერთი მსხვილი საბროკერო კანტორის ექსპერტი ნიკ ბარტმანი ამბობს, რომ ამქვეყნად ყველაფრის ყიდვა მოსალოდნელია, ოღონდ უხერხულია, როცა ტელეკომპანია ყიდულობს კლუბს, რომლის თამაშებიც შემდეგ თავად უნდა გადასცეს. მას აინტერესებს როგორ განვითარდება მოვლენები, რა გზას დაადგება BSKYB რათა „იუნაიტედის" მატჩები ყველაზე „საბაზრო" გახადოს.

— ვგონებ მერდოკი კლუბს იმიტომ ყიდულობს, რომ შეამოწმოს როგორ გასაღდება ის ტელეტრანსლაციები, ციფრული ტელევიზიის გამოყენებით რომ აქვს დაგეგმილი — თქვა ბარტმანის კოლეგამ სხვა კანტორიდან, ვინი ბედიმ.

### მერდოკი და ევროკავშირი

მაგრამ რაც უნდა მოხდეს ბრიტანეთში, ევროკავშირი თავისუფალი ბიზნესის მომხრეა და ამიტომ მოსალოდნელია, რომ მერდოკს ბრიუსელის შუქნიშანი მწვანე ნათურას აუნთებს.

**ბაჰუნა ძედია**



სარბიელის არქივიდან

ნაკრებიდან ბერტი ფოგტსის წასვლამ დიდებიც ააფორიაქა და პატარებიც

# AUF WIEDERSEHEN, BERTI

გუნდიდან მის წასვლას ჯერ კიდევ 1992 წელს ითხოვდნენ. მაშინ გერმანია ევროპის ჩემპიონატის ფინალში დანიასთან დამარცხდა 0:2. კრიტიკის ზეწოლა ორი წლის შემდეგ მომხდარი მოვლენების შემდეგ უფრო გამძაფრდა — მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში გერმანიამ 1:2 წააგო ბულგარეთთან. 1996 წელს, ევროპის ჩემპიონატის მოგების შემდეგ, თითქოსდა მისი პოზიციები საგრძნობლად უნდა გამყარებულიყო, მაგრამ ზაფხულში, მსოფლიოს ჩემპიონატზე ხორვატებთან სამარცხვინო მარცხმა ყველაფერს ხაზი გადაუსვა — გერმანელებს მსოფლიოს ჩემპიონატზე დიდი ანგარიშით 1958 წლის შემდეგ არ წაეგოთ, ხორვატებმა კი 40 წლის შემდეგ მოუშუშებელი ჭრილობა მიაყენეს ბუნდესნაკრებს. რა მოხდებოდა იმ მარცხის შემდეგ, ალბათ, ადვილი წარმოსადგენია — გერმანელთა თავკაცი ბერტი ფოგტსი საშინელი კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა, თუმცა თანამდებობა არ დაუტოვებია. ორშაბათამდე...

მალტაში ნათამაშევი ორი ამხანაგური მატჩის შემდეგ (მასპინძლებთან 2:1, რუმინეთთან 1:1) ბერტი ფოგტსი გადადგა. გერმანული ფეხბურთის ისტორიაში მეორედ მოხდა, როცა ნაკრების მწვრთნელი ასე უცბად წავიდა გუნდიდან — 1984 წლის ევროპის ჩემპიონატზე განცდილი კრახის შემდეგ იგივე იუპ დერვალმა მოიმოქმედა.

გერმანიის ფეხბურთის ფედერაციაში ბევრს ბჭობდნენ მომავალ სანაკრებო ცვლილებებზე, თუმცა ოფიციალურად ვერავინ ბედავდა რაიმეს თქმას. ის, რომ ნაკრების მწვრთნელი შეიცვლებოდა, გარდაუვალი ჩანდა. ამას ბევრი მიზეზი ჰქონდა, უმთავრესი კი, ცხადია, ნაკრების უსუსური თამაში გახლდათ. პრესაც ერთობ აქტიურობდა, საღად აფასებდა შექმნილ სიტუაციას და ამიტომაც მოითხოვდა ფოგტსის გადაყენებას. მისი ძალა იმაში მდგომარეობდა, რომ კრიტიკა სავსებით ობიექტური იყო.

ჯერ კიდევ მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე აცხადებდა ფოგტსი, თუ გუნდმა ევრო 2000-ის საგზური ვერ მოიპოვა, ნაკრებიდან წავალო. აზრი არც მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ შეუცვლია, თუმცა, ეტყობა ნერვებმა უმტყუნა — კვირას გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ეგიდიუს ბრაუნს შეეხმიანა და გადაწყვეტილების შესახებ ამცნო. მეორე დილით კი თავის ნაბიჯს ოფიციალური სახე მისცა.

— გერმანიის ფეხბურთის ფედერაცია და ბერტი ფოგტსი გადაწყვეტილებაზე შეთანხმდნენ. მწვრთნელი ნაკრებიდან წავიდა და ადრე გაფორმებული გრძელვადიანი კონტრაქტიც, შესაბამისად, გაუქმდა. ვინ შეცვლის ფოგტსს, დღესდღეობით ამის შესახებ ვერაფერს გიპასუხებთ — ფედერაციის წარმომადგენელმა ვოლფგანგ ნიერბახმა ეს ინფორმაცია ორშაბათს გაავრცელა.

ყველაფერს წერტილი დაუსვა. ნაკრებთან ცხრამეტწლიანი ურთიერთობაც დასრულდა (1979-დან 1990 წლის ჩათვლით ფოგტსი ნაკრებში მწვრთნელის თანაშემწედ მუშაობდა), ევროპის 2000 წლის ჩემპიონატზე ასპარეზობის იმედიც გაქარწყლდა, თუმცა ფოგტსს ყველაზე მეტად იმან დაწყვიტა გული, რომ გუნდიდან ორ მსოფლიოს ჩემპიონატზე ორჯერ შერცხვენილი წავიდა. დასრულდა ისტორია, რომელიც რვა წელიწადს გრძელდებოდა, რომლის განმავლობაშიც გერმანია ერთხელ კონტინენტის ჩემპიონი გახდა, ერთხელაც ვიცე-ჩემპიონი.

რამ გამოიწვია ფოგტსის სანაკრებო მდგომარეობის გაუარესება? გერმანიის ნაკრების თითქმის ყველა მწვრთნელი აქცენტს გამოცდილებზე აკეთებდა. გამონაკლისი არც ფოგტსი გახლდათ, თუმცა, წინამორბედებისგან განსხვავებით, მან გადააჭარბა და გუნდში ძალიან ძველებსაც იწვევდა. ერთი სიტყვით, ექსპერიმენტებს თავს არიდებდა ერთობოდა, ვეტერანებმა კი რა ხეირიც დააყარეს, კარგად ვნახეთ. და იყო კიდევ არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი ფოგტსის ნაკრებიდან წასვლისა — ბერტიმ გუნდში დააბრუნა თავის მიერვე ოთხი წლის წინ უარყოფილი შტეფან ეფენბერგი, რომელიც 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე უსაქციელობის გამო ნაკრებიდან სამუდამოდ გაგდებული ჰყავდა.

— მსურს, ქვეყნის ნაკრები გერმანული ფეხბურთის საუკეთესო სახის წარმომჩენი იყოს. ბოლო დროს ეს მართლაც არ ხერხდება, რაშიც, ვგონებ, დამნაშავე თავად ვარ. დღესდღეობით ვთვლი, რომ უპრიანი იქნება, თუ ნაკრებს ჩამოვშორდები. ასე აჯობებს — თანამდებობის დატოვების შემდეგ ფოგტსს პრესკონფერენცია არ გაუმართავს. ერთი ეს იყო, რაც განაცხადა. სამშაბათს საღამოს კორბენბროიხში, ფოგტსის სახლს უამრავი ჟურნალისტი ეწვია. პრესისა და რადიოს წარმომადგენლები, ტელეჟურნალისტები ცხადია ერთს — ინტერვიუს ითხოვდნენ. თუმცა ბერტი ფოგტსი არავისთან გასაუბრებას არ აპირებდა. სიტუაცია იმდენად დაიძაბა, მწვრთნელყოფილს პოლიციის გამოძახება მოუხდა, სამართალდამცავებს კი შეკრებილთა დაშლა არ გასჭირვებიათ.

აგერ უკვე მეოთხე დღეა, მსოფლიოსა და ევროპის სამ-სამგზის ჩემპიონი გერმანიის ნაკრები უმწვრთნელოდაა. ბერტი ფოგტსის მემკვიდრის ძებნას ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები მისი გადადგომისთანავე შეუდგნენ, მალე რამდენიმე კანდიდატურაც გამონახეს, მაგრამ ოფიციალურად ჯერჯერობით არავინ დაუმტკიცებიათ. 10 ოქტომბერს გერმანელები პირველ შესარჩევ მატჩს გამართავენ. თურქებს სტუმრობენ, ოფიციალური შეხვედრის უმწვრთნელოდ ჩატარდება კი, ცხადია, არ ეგების. ბუნდესნაკრების მწვრთნელიც, სავარაუდოდ, მანამდე გაირკვევა.

— ჩემი აზრით, ამ ეტაპზე იუპ ჰაინკესის კანდიდატურა უპრიანია. იგი საკმაოდ გამოცდილი მწვრთნელია. ამასთანავე შედეგიანი, ასე რომ, ვფიქრობ, მისი მოღვაწეობა გუნდს სიკეთეს მოუტანს. ყველაფერთან ერთად იუპ ჰაინკესს უდიდესი საერთაშორისო გამოცდილება აქვს — გერმანულ ფეხბურთში ერთ-ერთმა ავტორიტეტმა, ევროპის ორგზის საუკეთესო ფეხბურთელმა ფრანც ბეკენბაუერმა საჭიროდ ჩათვალა, ამ თემაზე საკუთარი აზრი გამოეთქვა.

ფედერაციის მიერ დასახელებულ კანდიდატურათა შორის იუპ ჰაინკესი მოხსენიებულია, თუმცა მან გუნდის გაწვრთნა პირადი პრობლემების გამო იუარა. ნაკრების შესაძლო მწვრთნელთა სიაში არანაკლებ ძლიერი სპეციალისტებიც ფიგურირებენ — ოტმარ ჰიცფელდი, ოტო რეჰაგელი, კრისტოფ დაუმი. ყველა მათგანს უდიდესი გამოცდილება აქვს. ამასთანავე ქვეყნის ფეხბურთის განვითარების საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვით. რა როგორ იქნება, მომავალი გვიჩვენებს. დღესდღეობით კი გერმანიის ნაკრები უმწვრთნელოდაა, ხოლო დროის ფუჭმა კარგვამ, შესაძლოა, ცუდი შედეგი გამოიღოს. თურქები, ისიც შინ, მაინცდამაინც ადვილად დასაძლევი არ არიან.

გერმანიის ფეხბურთის ფედერაცია შექმნილი პრობლემის გადასაჭრელად საგანგებო ყრილობის მოწვევას აპირებს.

**ლაშა გოდუაძე**



სარბიელის არქივიდან

**ბერტი ფოგტსი**

დაიბადა 1946 წლის 30 დეკემბერს გერმანიაში, ბუტგენში

მოთამაშის კარიერა: 1956-65 „ბუტგენი", 1965-79 მიონხენგლადბახის „ბორუსია";

ტიტულები: მსოფლიოს ჩემპიონი 1974, გერმანიის ჩემპიონი 1970, 1971, 1975, 1976, 1977, გერმანიის თასი 1973, უეფას თასი 1975, 1979, ნაკრებში 96 თამაში, 1 გოლი

სამწვრთნელო კარიერა: ქვეყნის ნაკრები 1990-98 — 102 მატჩი, 67 გამარჯვება, 23 ფრე, 12 წაგება; 1996 წლის ევროპის ჩემპიონი; 1992 წლის ევროპის ვიცე-ჩემპიონი

## ფეხბურთის რუკასთან



ესპანურმა „დეპორტივო ლა კორუნიამ“ თავისი ურუგვაელი ლეგიონერი სებასტიან აბრეუ ერთი წლით ბრაზილიურ „გრემიოს“ ათხოვა. აბრეუ ესპანურ კლუბში შარშან გადავიდა არგენტინის „სან ლორენცოდან“ 9 მილიონ დოლარად, მაგრამ 15 შეხვედრაში მხოლოდ 3 გოლის გატანა მოახერხა. თუ „გრემიო“ ერთი წლის შემდეგ მოინდომებს ურუგვაელი თავდამსხმელის შენარჩუნებას, მაშინ „დეპორტივოსთვის“ 16 მილიონი დოლარის გადახდა მოუწევს.

რუმინული კლუბის კრაიოვას „უნივერსიტატიას“ მთავარი მწვრთნელი ილიე ბალაჩი მსაჯის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის ერთი წლით არის დისკვალიფიცირებული, ხოლო ამავე გუნდის პრეზიდენტი ჟან გარაბეტი გვერდით არბიტრზე თავდასხმისთვის — 6 თვით. რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია: „ილიე ბალაჩის ერთი წლის განმავლობაში ეკრძალება ყოველგვარი საფეხბურთო საქმიანობა და მსაჯ არონ ჰუზუს შეურაცხყოფისთვის 9 მილიონი ლეითაა (900 დოლარი) დაჯარიმებული“. ეს ინციდენტი მაშინ მოხდა, როდესაც ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო ტურში „უნივერსიტატიამ“ შინ 0:1 წააგო „ოცელულთან“. ამ მატჩში ჰუზუს მასპინძელთა ორი ფეხბურთელი გაუძევებია მინდვრიდან, რის შემდეგაც გასახდელთან მას გუნდის ხელმძღვანელობა თავს დაესხა. მართალია, მეორე დღეს ბალაჩიმ საჯაროდ მოიბოდიშა, მაგრამ ამით ჰუზუს გატეხილ ცხვირს და სხვა წვრილმან ტრავმებს არაფერი ეშველება.

გერმანიის ნაკრების ყოფილ ფეხბურთელ ტომას დოლს, იტალიაში თამაშისას აკრძალული პრეპარატების ხმარებაში მხილებულს და დისკვალიფიკაციამისჯილს, ფიფამ თამაშის ნება დართო ბუნდესლიგურ „ჰამბურგში“. გერმანული კლუბის მიერ გავრცელებული ოფიციალური განცხადება იუწყება, რომ ნახევარმცველმა დისკვალიფიკაცია იტალიაში მიიღო და ამიტომ მისი მოქმედება ქვეყნის საზღვრებს გარეთ უნდა შეწყდეს. 32 წლის დოლი „ჰამბურგში“ 1990-91 წლების სეზონში, რომის „ლაციოში“ გადასვლამდეც გამოდიოდა.

უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალის კენჭისყრამ გერმანულ „ვერდერს“ 15 სექტემბერს ნორვეგიული „ბრანის“ მასპინძლობა კი არგუნა, მაგრამ ორივე გუნდის ხელმძღვანელთა შეთანხმებით პირველი მატჩი ნორვეგიაში გაიმართება, ხოლო საპასუხო — ორი კვირის შემდეგ ბრემენში. აღსანიშნავია, რომ „ვერდერი“ ნორვეგიას დანაკლისით ეწვევა — 21 აგვისტოს „ნიურნბერგთან“ შეხვედრაში იენს ტოდტი დაშავდა და გარდა ამისა მინიმუმ სამ ბუნდესლიგურ მატჩსაც გამოტოვებს. ექიმების თქმით, ტოდტი „ბრანთან“ საპასუხო შეხვედრისთვის მწყობრში იქნება.

გერმანიის ნაკრებისა და „ნიუკასლის“ ნახევარმცველი დიტმარ ჰამანი მძიმედ დაშავდა და ერთხანს შესვენება მოუწევს. ჰამანი ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებსაც გამოტოვებს 10 და 14 ოქტომბერს, შესაბამისად თურქეთთან და მოლდოვასთან. „ვეცდები მალე გამოვმჯობინდე და ფორმაში ჩავდგე. თუმცა საწყის ორ შეხვედრაში ნაკრებს ნამდვილად ვერ დავეხმარები. 20 დღეში ინგლისში გავემგზავრები და კლუბში მსუბუქად დავიწყებ ვარჯიშს“ — განაცხადა 25 წლის ფეხბურთელმა, რომელიც ახლა მიუნხენშია და გერმანელ ექიმებთან მკურნალობს.

იტალიურმა „პარმამ“ „ნიუკასლ იუნაიტედის“ მოთამაშის, ალან შირერის შეძენის სურვილი გამოთქვა. აპენინელები მზად არიან, ინგლისის ნაკრების გამოცდილ თავდამსხმელში 40 მილიარდი ლირა (22,5 მილიონი დოლარი) გადაიხადონ, იტყობინება „გაძეტა დელო სპორტი“. შირერის გადაბირება პარმელებს ჯერ კიდევ ივნისში უნდოდათ, მაგრამ მაშინ „ნიუკასლის“ ხელმძღვანელობამ ასტრონომიული თანხა — 33,8 მილიონი დოლარი მოითხოვა და გარიგება არ შედგა. მერე „პარმამ“ „ფიორენტინას“ არგენტინელ ფორვარდს გაბრიელ ბატისტუტას დაადგა თვალი, მაგრამ ამ უკანასკნელმა არ ისურვა კლუბის დატოვება და მასთან კონტრაქტი გააგრძელა. ამის შემდეგ იტალიელებმა მეორედ მიმართეს „ნიუკასლ იუნაიტედს“ შირერის თაობაზე. ჯერჯერობით თავდამსხმელის პოზიცია უცნობია. ისე, თუ იგი „პარმაში“ გადავა, თავის ძველ ნაცნობ ფაუსტინიო ასპრილიასთან ერთად მოუწევს ბურთაობა. ამასობაში გაირკვა, რომ პარმელი ენრიკო კიეზა „მილანში“ გადადის, სადაც, სავარაუდოდ „ბარსელონაში“ მოულოდნელად გადაბარგებული პატრიკ კლუივერტი უნდა შეცვალოს.

ესპანეთის ნაკრებისა და „ბეტისის“ თავდამსხმელი ალფონსო პერესი თავისი კლუბის მორიგ შეხვედრას უეფას თასის გათამაშებაში დანიურ „ვეილესთან“ გამოტოვებს. ამის მიზეზი მუხლის ტრავმაა, რომელიც მან კვიპროსთან სამარცხვინოდ წაგებულ (2:3) ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველ მატჩში მიიღო. ამასთანავე ალფონსო ვერც ესპანეთის ჩემპიონატის მორიგ შეხვედრებში — „სარაგოსასთან“ და „რასინგთან“ ითამაშებს. რაც შეეხება „ბეტისის“ მეორე დაშავებულ ფეხბურთელს, ესპანეთის 21 წლამდე ნაკრების წევრ ბენჯამინ ზარანდონას, მან უკვე მოიშუშა მუცლის კუნთის ტრავმა და გუნდთან ერთად ვარჯიშიც დაიწყო.

არგენტინის ჩემპიონატი: ბოკა ხუნიორსი — ურაკანი 6:2, ტალერესი — რივერ პლეიტი 3:1, როსარიო სენტრალი — ველეს სარსფილდი 1:2, ლანუსი — პლატენსე 1:0, სან ლორენცო — ესტუდიანტესი 0:0, ხიმნასია (ხუხუი) — ბელგრანო 2:2, უნიონი — რასინგი 1:0, ინდეპენდიენტე — კოლონი 0:0, ხიმნასია (ლა პლატა) — არგენტინოს ხუნიორსი 1:1. გათამაშებას 11 ქულით „ბოკა ხუნიორსი“ ლიდერობს, მეორე და მესამე ადგილზე ასევე 11-11 ქულით „ველეს სარსფილდი“ და „უნიონი“ იმყოფებიან.

ბრაზილიის ჩემპიონატი: ბრაგანტინო — კორინტიანსი 1:0, პალმეირასი — ფლამენგო 2:1, გრემიო — ვიტორია 2:1, ვასკო და გამა — კრუზეირო 2:0, პორტუგეზა — ბოტაფოგო 5:2, ატლეტიკო მინეირო — სან პაულუ 1:0, სანტოსი — სპორტ რესიფე 0:0, ინტერნასიონალი — გუარანი 1:3, პონტე პრეტა — ჟუვენტუდი 1:0, პარანა — ატლეტიკო (პარანენსე) 1:0, ამერიკა (ნატალი) — კორიტიბა 0:1, ამერიკა (ბელო ორიზონტე) — გოიასი 1:0. ჩემპიონატს 23 ქულით „კორინტიანსი“ ლიდერობს. ქულით ნაკლები აქვს და მეორეა „სანტოსი“, ხოლო მესამე საფეხურზე 20 ქულით „სპორტ რესიფე“ დამკვიდრდა.

აფრიკის თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალების პირველი მატჩები: ვიდად კასაბლანკა (მაროკო) — კოსტა დო სოლი (მოზამბიკი) 6:3, მბილინგა (გაბონი) — ესპერანსე (ტუნისი) 0:2, ნკანა (ზამბია) — აფრიკა სპორტსი (სპილოს ძვლის კუნძულები) 1:1, პრიმეირო აგოსტო (ანგოლა) — უსმა (ალჟირი) 3:0. კონფედერაციის თასი: სფაქსიენი (ტუნისი) — ვთფ (მადაგასკარი) 2:0, ალ ჰილალი (სუდანი) — დარინგო (კონგო) 2:2, კოტონტარადი (არადი) — ნარანგა რეინჯერსი (ზამბია) 1:2, ჟანა დარკი (სენგალი) — რენესანსი (მაროკო) 2:0.

ნიგერიელმა თავდამსხმელმა ემანუელ ამუნიკემ შესაძლოა კარიერა დაასრულოს. ნაკრების ღირსების 20-ჯერ დამცველ ამუნიკეს აგერ უკვე რამდენიმე თვეა მუხლის ტრავმა აწუხებს, რომელიც მან ჯერ კიდევ „ბარსელონას“ ძირითადში თამაშისას მიიღო. „ტრავმა მძიმეა და ამიტომ გადაუდებელ ოპერაციას საჭიროებს. რამდენიმე დღეში ამერიკაში გავემგზავრები და გამოცდილ ექიმებთან ოპერაციას გავიკეთებ, თუმცა არაა გამორიცხული ამან შედეგი არ მომიტანოს და კარიერის დასრულება მომიხდეს“ — ფრაქფურტის აეროპორტში მყოფი ემანუელი ერთობ შეცბუნებული ჩანდა. შეგახსენებთ, რომ ნიგერიელი დღესაც „ბარსელონას“ მოთამაშედ ითვლება.

# ოქროს ბურთის ლაურეატები

France Football

## 1957, 1959

## ალფრედო დი სტეფანო

*დავით კეზერიძე*

ესპანელი დიქტატორი ფრანკო მადრიდის ერთ-ერთ ქუჩაზე სეირნობდა. ამ დროს მან საწინააღმდეგო მიმართულებით მომავალი პატარა, ლამაზი ბიჭუნა შეამჩნია, გააჩერა და უთხრა:

— რა გინდა ყველაზე ძალიან, მითხარი და აგისრულებ.

— თქვენი ავტოგრაფი, ოღონდ ორი ცალი.

— კი მაგრამ, რად გინდა ორი ავტოგრაფი?

— ერთს დი სტეფანოსაში გავცვლი.

აი, ასეთ ანეგდოტებს თხზავდა ხალხი მაშინ, როდესაც ალფრედო დი სტეფანომ დიდების მწვერვალს მიაღწია. მანამდე კი...

# ადამიანი ორკესტრი

1926 წლის 4 ივლისს, როდესაც მთელი ამერიკა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ მორიგ დღესასწაულს ზეიმობდა, ბუენოს აირესში, იტალიიდან დიდი ხნის წინ ემიგრირებულ დი სტეფანოებს ვაჟი შეეძინათ, მას ალფრედო დაარქვეს. რამდენიმე წელიწადში, როცა იგი უკვე წამოიზარდა, საკმაოდ ხელმოკლედ მცხოვრებმა ოჯახმა, კერძოდ კი მამამისმა, რომელიც იმ ხანებში „რივერ პლეიტის“ თავდამსხმელი იყო, შვილის განათლებისათვის საჭირო თანხის უქონლობის გამო ალფრედოც ფეხბურთზე შეიყვანა. ამ უკანასკნელმაც არ გაუცრუა მამას იმედები და საოცარი ენერგიითა და გულისყურით დაიწყო ვარჯიში.

იმ დროს, როდესაც ახალგაზრდა დი სტეფანომ პირველად მოირგო „რივერ პლეიტის“ მაისური, არგენტინელ გულშემატკივრებში ბევრად უფრო ფასობდა ტექნიკური, ლამაზი ფეხბურთი, ვიდრე მრავალსვლიანი, ტაქტიკურად გათვლილი კომბინაციები. სწორედ ასეთ, ერთი შეხედვით მშრალ, მაგრამ მეტად არაორდინალურ, ეშმაკურ თამაშს ანიჭებდა უპირატესობას გუნდის ახალბედა თავდამსხმელი. მან გადაწყვიტა კიდეც, დაენერგა თავისი სტილი „რივერ პლეიტში“ და საფუძველი ჩაეყარა ახალი, ინტელექტით გამდიდრებული ფეხბურთისათვის, მაგრამ ვერც ფეხბურთელებმა, ვერც გუნდის ხელმძღვანელობამ და მით უმეტეს, ვერც გულშემატკივრებმა, მას ვერ გაუგეს. შედეგად დი სტეფანო დედაქალაქის „ურაკანს“ ათხოვეს. მიუხედავად ყოველგვარი მცდელობისა, მან ვერც ამ კლუბში ითამაშა თავისი ფეხბურთი. ხალხი ჯერ არ იყო მზად ასეთი გარდაქმნებისთვის და დი სტეფანოს სხვა გზა არ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ ბედს შეჰგუებოდა, ეთამაშა ისე, როგორც დანარჩენებს.

„ურაკანში“ გატარებული ერთი სეზონის შემდეგ „რივერ პლეიტში“ იგი სრულყოფილ პროფესიონალად დაბრუნდა და კლუბთან ერთად ბრაზილიურ ტურნეზე გაემგზავრა. მეზობელ ქვეყანაში არგენტინელებს არცთუ ურიგოდ უასპარეზიათ და საკმაო ფინანსური მოგებაც ნახეს, მაგრამ ისიც აშკარად გამოჩნდა, რომ ბრაზილიური ფეხბურთი გაცილებით წინ წასულიყო და ამიტომაც საჭირო იყო რადიკალური ზომების მიღება — სასწრაფოდ უნდა შეცვლილიყო თამაშის ტრადიციული მანერა და ტაქტიკური სქემები. სწორედ აქ ჩამოჰკრა დი სტეფანოს ზარმა. მოქმედების სრული თავისუფლება რომ მიიღო, მან მთლიანად გამოავლინა თავისი ნიჭი, ნიჭი შეტევების უბადლო ორგანიზებისა. იგი შლიდა მეტოქის კომბინაციებს, იწყებდა თავისი გუნდის მახვილგონივრულ შეტევებს და ხშირ შემთხვევებში ასრულებდა კიდეც მათ. შედეგად 1947 წელს „რივერ პლეიტმა“ მანამდე არნახული რეკორდი დაამყარა — ერთ სეზონში გაიტანა 90 გოლი, აქედან 27 თავად დი სტეფანომ. მან საბოლოოდ დაუმტკიცა ოპონენტებს ის, რასაც დიდ ფეხბურთში მისვლის პირველივე დღიდან ამტკიცებდა — მარტო ლამაზი ფინტებისა და ცრუ მოძრაობების კეთება საკმარისი არ არის, მთავარია, ყოველმა ფეხბურთელმა მოედანზე თავისი ადგილი და საქმე იცოდეს.

დი სტეფანოს საფეხბურთო კარიერა ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს, რომელთა შორის გარკვეულწილად ვაკუუმი არსებობდა. ჩავთვალოთ, რომ პირველ ნაწილზე უკვე ვისაუბრეთ. რაც შეეხება ვაკუუმს, ეს მხოლოდ მისთვის იყო ვაკუუმი, თორემ ფეხბურთელთა უმეტესობას ის წლები იქნებ წარმატებულადაც კი ჩაეთვალა. გავიხსენოთ ეს პერიოდი: შედგა დი სტეფანოს დებიუტი არგენტინის ნაკრებში, რომელთან ერთადაც შემდგომში იგი სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი გახდა. ამას ქვეყანაში ფინანსური ქაოსი მოჰყვა და 1949 წელს ალფრედო კოლუმბიურ „მილიონარიოსში“ აღმოჩნდა. იქ ყოფნისას დი სტეფანო სამჯერ გახდა კოლუმბიის ჩემპიონი და სამჯერვე ქვეყნის საუკეთესო სნაიპერი იყო. 1952 წელს „მილიონარიოსი“ ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად ევროპაში გაემგზავრა და ესპანეთში აღმოჩნდა, სადაც მადრიდის „რეალმა“ და „ბარსელონამ“ მის შესაძენად ნამდვილი ომი გააჩაღა. ექვსთვიანი ვაჭრობის შემდეგ დი სტეფანო საბოლოოდ „რეალმა“ დაისაკუთრა, ამასთან ერთად, ფეხბურთელმა ესპანეთის მოქალაქეობა მიიღო. ასეთი იყო მისი ცხოვრების ის ეტაპი, რომელსაც ჩვენ პირობითად ვაკუუმი დავარქვით.

ახლა კი მოვიდა დრო, ზემოხსენებულ „მეორე ნაწილზეც“ ვთქვათ ორიოდ სიტყვა. თუმცა ამაზე უკვე იმდენი დაიწერა და ითქვა, რომ ძნელია, რაიმე ახალი გავიხსენოთ. დი სტეფანომ მადრიდის „სამეფო“ კლუბში იმდენად დიდებული, მართლაც მეფური წლები გაატარა, რომ თვით ფრანკოს სიყვარული და პატივისცემაც კი დაიმსახურა. ამბობენ, იგი დიქტატორის ერთადერთი მეგობარი იყოო. არგენტინელი, მერე კოლუმბიელი, საბოლოოდ კი ესპანელი დი სტეფანო მადრიდში და საერთოდ, მთელ ესპანეთში ყველაზე პოპულარულ ადამიანად იქცა. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მისი მეუღლის სილამაზის სალონში, სადაც ადრე კაციშვილი არ შედიოდა, ახლა უკვე მთავრობის წევრთა და ცნობილ ადამიანთა ცოლები დაბრძანდებოდნენ. სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო, ვინაიდან ფეხბურთის სპეციალისტთა აზრით, რომ არა დი სტეფანო, მადრიდელები ზედიზედ ხუთჯერ ევროპის ჩემპიონთა თასს ნამდვილად ვერ მოიპოვებდნენ. მათ ვერც ფრანგი რაიმონ კოპა უშველიდათ, ვერც ბრაზილიელი დიდი და ვერც ფრანსისკო ხენტო. იმდროინდელი არნახული წარმატებების თავიდათავი სწორედ დიდი ალფრედო იყო. აკი განაცხადა კიდეც მისდამი არცთუ კეთილგანწყობილმა ცნობილმა მწვრთნელმა ელინიო ერერამ, პელე პირველი ვიოლინოა, დი სტეფანო კი მთელი ორკესტრიო. სხვათა შორის, როდესაც შემდგომში თავად ფეხბურთელს ჰკითხეს, ვინ არის უძლიერესი, თქვენ, იოჰან კრუიფი თუ პელეო, დი სტეფანომ ასეთი რამ თქვა: „მე და კრუიფს არ გვყოლია ისეთი ძლიერი პარტნიორები, როგორიც პელეს და თქვენ წარმოიდგინეთ, იგი უდიდეს ფეხბურთელთა შორისაც კი გამორჩეული იყო. ამიტომაც, ვფიქრობ, პელე“.

ჩვენს ამოცანას დღესდღეობით არ წარმოადგენს დი სტეფანოს მადრიდულ კლუბში ჩადენილი საგმირო საქმეების დაწვრილებით განხილვა. ამაზე, როგორც უკვე ვთქვით, წიგნებიც კი არის გამოცემული. უბრალოდ გეტყვით, რომ ამ კლუბში ჩატარებულ 684 მატჩში მან 454 გოლი გაიტანა, ჩემპიონთა თასისთვის გამართულ შეხვედრაში კი 49! მართლაც ფენომენალური მაჩვენებელია და მისი გამეორება, მით უმეტეს, გაუმჯობესება, ალბათ არარეალურია.

მსოფლიოს საკლუბო ფეხბურთის ყველაზე ტიტულოვანი წარმომადგენელი, ჩემპიონთა თასის ექვსგზის მფლობელი, მადრიდის „რეალის“ გარემარბი ფრანსისკო ხენტო იხსენებს: „დი სტეფანოს დროს მწვრთნელს თამაშის წინ ჩვენთვის დარიგებების მოცემა არ სჭირდებოდა. ჩვენ, უბრალოდ, მივდიოდით სტადიონზე, ვიცვამდით ფორმას და ვიწყებდით ფეხბურთის თამაშს“.

უეჭველია, რომ დი სტეფანო წლების განმავლობაში „რეალის“ უგვირგვინო მეფე იყო, მაგრამ ამასთან, მას საოცრად ახირებული, ეჭვიანი და ჭირვეული კაცის სახელი ჰქონდა. ვერც ერთი ფეხბურთელი ვერ მიიღებდა სამეფო კლუბში თამაშის უფლებას მის გარეშე. სწორედ დი სტეფანომ არ მისცა თავის გვერდით თამაშის საშუალება შესანიშნავ რაიმონ კოპას, ხოლო ისეთი გრანდიოზული მოთამაშე, როგორიც დიდი იყო, მისი „წყალობით“ მთელი წელი სათადარიგოთა სკამზე იჯდა (ისინი ერთი ამპლუის ფეხბურთელები იყვნენ). მიუხედავად უარყოფითი თვისებებისა, დი სტეფანო გულშემატკივრებსაც და სანტიაგო ბერნაბეუსაც იმდენად ძვირად ულირდათ, რომ ყველაფერზე თვალს ხუჭავდნენ.

თუმცა ყველაფერს, ძალიან ლამაზს და ბედნიერსაც აქვს დასასრული. დი სტეფანოს ზღაპრული კარიერის ბოლო, უბრწყინვალესი აკორდი 1960 წლის 18 მაისს, გლაზგოს „ემპდენ პარკზე“ გამართული ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩი იყო — „რეალი“ ფრანკფურტის „აინტრახტს“ ეთამაშებოდა და 7:3 მოუგო. იმ დღეს, გარდა იმისა, რომ სამი გოლი გაიტანა (დანარჩენი ოთხი უნგრელი ფერენც პუშკაშის ანგარიშზეა) მან კიდევ ერთხელ დაუმტკიცა ხალხს გუნდში ერთპიროვნული ლიდერის არსებობის აუცილებლობა. შემდგომში დი სტეფანომ განაცხადა, რომ გლაზგოს ფინალი მისთვის ყველაზე ტკბილად გასახსენებელია, ხოლო პოპულარულმა ინგლისურმა ჟურნალმა „FOUR-FOUR-TWO“ ის შეხვედრა ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესოდ მიიჩნია.

ამჟამად მოხუცი ალფრედო მადრიდში, სტადიონ „სანტიაგო ბერნაბეუს“ მახლობლად ცხოვრობს და „რეალში“ ერთ-ერთი დიდი თანამდებობა უკავია. იგი კვლავ თავის საყვარელ კლუბთან არის, კლუბთან, რომელსაც სამუდამოდ გაუთქვა სახელი, თავის მხრივ, „რეალმა“ ხომ იგი ფეხბურთის მეფეს — პელეს დაუყენა გვერდით. ჩემთვის ასაკის გამო ძნელია იმაზე მსჯელობა, რით სჯობდა პელე დი სტეფანოს ან დი სტეფანო კრუიფს, მაგრამ ერთი რამ კი ფაქტია — რომ არა იგი, ფეხბურთი ძალიან, ძალიან ბევრს დაკარგავდა.



**ალფრედო დი სტეფანო**

დაიბადა არგენტინის დედაქალაქ ბუენოს აირესში, 1926 წლის 4 ივლისს

თავდამსხმელი

წონა: 76 კგ

სიმაღლე: 1,74

კლუბები: რივერ პლეიტი (არგენტინა, 1942-44, 1946-49), ურაკანი (არგენტინა, 1945), მილიონარიოსი (კოლუმბია, 1949-53), რეალი (ესპანეთი, 1953-64), ესპანიოლი (ესპანეთი, 1964-66)

ტიტულები: სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი 1947; არგენტინის ჩემპიონი 1947; კოლუმბიის ჩემპიონი 1951, 52; ესპანეთის ჩემპიონი 1954, 55, 57, 58, 61, 62, 63, 64; ესპანეთის თასი 1962; ჩემპიონთა თასი 1956, 57, 58, 59, 60; საკონტინენტთაშორისო თასი 1960

ნაკრებები: არგენტინა 7 თამაში, 7 გოლი (1947-48); კოლუმბია 2 (1949); ესპანეთი 31, 23 (1956-63)

# US OPEN პიტს მწვანეები აწვიმს

ორშაბათს ამერიკის ღია პირველობაზე მეტად საინტერესო მერვედფინალური მატჩები უნდა გამართულიყო, მაგრამ დღის განრიგში ამინდის უცერემონიოდ ჩარევის შემდეგ ერთეულთა რვა დაგეგმილი



REUTERS ნიუ იორკიდან

ამანდა კუტცერი

შეხვედრიდან მხოლოდ ხუთის დასრულება მოხერხდა.

დღის პირველი მატჩი, არტურ ეშის სახელობის ცენტრალურ კორტზე, მოთამაშეებისთვისაც და მაყურებლებისთვისაც ნამდვილ ტანჯვად იქცა. ჩია სამხრეთაფრიკელმა ამანდა კუტცერმა და ესპანელმა კონჩიტა მარტინესმა თავიანთი თავიცა და ირგვლივ მყოფნიც უაზრო აბრაგანებითა და დაუსრულებელი გათამაშებებით იმდენად შეაწუხეს, მათი მატჩის შემდეგ გასამართი პიტ სამპრას — მარატ საფინის შეხვედრის ნახვის ერთ-ერთმა მოუთმენელმა მსურველმა მორიგი უნიჭო გადაგდება-გადმოგდების დროს მთელი ხმით დასჭყივლა, ამის ატანა აღარ შემიძლიაო.

შეხვედრაზე წარმოდგენას ისიც შეგიქმნით, რომ მეორე ხელის ერთ-ერთი გეიმი მთელი 29 წუთი გრძელდებოდა (გაცილებით მეტი, ვიდრე ზოგიერთი სეტი), სულ შეხვედრამ ორ საათსა და 40 წუთს გასტანა, მაყურებლები კი რომელიმე ჩოგბურთელის ბადესთან გასვლას (რაც უმეტეს შემთხვევაში გათამაშების დასრულებას მოასწავებს) სიხარულის ჟივილხივილით ხვდებოდნენ.

საბოლოოდ კუტცერმა ხელმტკივანი მეტოქის მოხრჩობა სამ სეტში, 6:4, 4:6, 6:2 მაინც მოახერხა და მატჩის დასრულებით გაბედნიერებულ ტრიბუნებს გამარჯვების ნიშნად მუშტიც მოუღერა — წინა 13 პირადი შეხვედრიდან სამხრეთაფრიკელს მარტინესთან 12 წაეგო.

კიდევ უფრო ემოციურად გამოხატა მოგებით გამოწვეული სიხარული ვინუს უილიამსმა — გვერდებამოჭრილ ლურჯ კაბაში გამოწყობილმა შავმა ვენერამ მარი პირსის ტაი-ბრეიკზე ძლევის შემდეგ დაველური დაუარა, თუმცა ხიხოობითა თუ საკუთარი უნიჭობით შეწუხებულმა პრესკონფერენციაზე ამისთვის მოიბოდიშა, არ ვიცი, რა მომივიდა, იმ მომენტში ნამდვილად არ უნდა მეცეკვა, არც ვაპირებდი, მაგრამ თავი ვერ შევიკავეო.

კაცებს შორის კი პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი მეოთხედფინალური საგზური სამშაბათს მხოლოდ პიტ სამპრასმა გააჩერხა. მსოფლიო ჩოგბურთის ამომავალ ვარსკვლავს, რუს მარატ საფინს პიტი 6:4, 1:0-ს უგებდა, როდესაც სტადიონს ტროპიკული თავსხმა დაატყდა თავს. „ცა იმ მომენტში მეტად საშიში სანახავი გახლდათ, რაღაც მწვანე ფერის მსგავსი. ისიც კი ვიფიქრე, დოლარები ხომ არ მაწვიმს-მეთქი" — თქვა მოგვიანებით სამპრასმა.

მატჩის განახლების შემდეგ საფინი ერთი ხანობა კიდევ იბრძოდა, მაგრამ მსოფლიოს პირველი ჩოგნის კლასმა და არანაკლებ მნიშვნელოვანმა 18 ეისმა მაინც თავისი გაიტანა. „ის არაჩვეულებრივად თამაშობდა, რამდენიმე დარტყმა კი ისეთი გამოუვიდა, დაჯერებაც მიჭირდა — ვიფიქრე ჩემს დარტყმულს ვერ მიასწრებს-მეთქი, მან კი ბურთი კიდევ უფრო უკეთ მომიბრუნა. ის ისეთ რამეებს აკეთებს, სხვა არც კი შეეცდებოდა, იმედია, როდესმე მისი ნახევარი ჩოგბურთელი მაინც გავხდები" — განაცხადა მატჩის შემდეგ საფინმა. თუმცა 18 წლის რუსმა სახელოვანი მეტოქისგანაც მიიღო კომპლიმენტები, უაღრესად ნიჭიერია, მთავარია, სტაბილურობას მიაღწიოსო.

დღის დაუსრულებელი მატჩებიდან ყველაზე საინტერესოდ ანდრე აგასისა და კაროლ კუჩერას შეხვედრა მიმდინარეობდა. სლოვაკმა „პატარა კატამ" („პატარა" იმიტომ, რომ კუჩერას მწვრთნელს, მიროსლავ მეჩირჟს, უბრალოდ, „კატა" ერქვა) პირველი ორი ხელი იოლად მოიგო, მესამეშიც ბრეიკით დაწინაურდა, მაგრამ თამაშის ბედისადმი თითქოს აბსოლუტურად გულგრილ აგასის მეტოქის მოქმედებამ მოულოდნელად მოთმინება დააკარგვინა — კუჩერა თითოეულ მოწოდებაზე ბურთს რამდენჯერმე აგდებდა ზევით. ხოტორა ამერიკელი ჯერ მსაჯს დაეკითხა, ამისი უფლება თუ აქვსო და როდესაც დასტური მიიღო, მომდევნო გეიმში კუჩერას გამოჯავრებას მიჰყო ხელი — მოწოდებებზე ბურთს დაუსრულებლად ისვრიდა ზევით, მალე კი ტაქტიკაც შეცვალა და მაღალი ტრაექტორიის, ნელი აბრაგანების დარტყმა დაიწყო (ე.წ. მუნბოლები).

სლოვაკი აგასის საქციელმა ფრიად გაალიზიანა — ერთხელ თითით დაემუქრა, მერე მისი მიმართულებით ბურთიც ისროლა და ანდრესაც მეტი რაღა უნდოდა, ჯერ ანგარიში გაათანაბრა, თავის მხრივ, მეტოქეც გამოიწვია, აბა, მიდი, თუ ბიჭი ხარო და დაძაბულ ტაი-ბრეიკზე პირველივე სეტ-პოინტიც გამოიყენა. მეოთხე პარტია შემართული ამერიკელის გაქცევით დაიწყო, რომელმაც ხმამაღლა მოყიჟინე ბრუკ შილდსის გასახარად ზედიზედ სამი გეიმი მიითვალა, მაგრამ ამ დროს „ოუფენს" წვიმის მორიგმა ტალღამ გადაუარა და ურთიერთობის გარკვევაც სამშაბათ ღამისთვის გადაიდო.

**ავთანდილ სვანიძე**

### მერვედფინალი

**ქალები**

**ამანდა კუტცერი (13, სამხრეთ აფრიკა) — კონჩიტა მარტინესი (7, ესპანეთი) 6:4, 4:6, 6:2; ვინუს უილიამსი (5, აშშ) — მარი პირსი (12, საფრანგეთი) 6:1, 7:6(7:4); ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — ნატალი ტოზია (10, საფრანგეთი) 6:1, 6:4; არანჩა სანჩეს-ვიკარიო (4, ესპანეთი) — ანა კურნიკოვა (15, რუსეთი) 7:6(7:5), 6:3.**

**კაცები**

**პიტ სამპრასი (1, აშშ) — მარატ საფინი (რუსეთი) 6:4, 6:3, 6:2; დანარჩენი მატჩები წვიმის გამო არ დასრულებულა: კაროლ კუჩერა (9, სლოვაკეთი) — ანდრე აგასი (8, აშშ) 6:3, 6:3, 6:7(5:7), 0:3; პატრიკ რაფტერი (3, ავსტრალია) — გორან ივანიშევიჩი (14, ხორვატია) 6:3, 3:2; იონას ბიორკმანი (12, შვედეთი) — იან სიმერინკი (ჰოლანდია) 6:4, 1:4.**

ინტერვიუ ანდრე აგასისთან

# შიშველი სიმართლე ლენდლზე

**— ათი თვის წინ მეორეხარისხოვან ტურნირებზე ასპარეზობდით, რის შემდეგაც ამხელა პროგრესს მიაღწიეთ. თუკი თქვენც და პიტიც მოიგებთ ამ მერვედფინალურ შეხვედრებს და ოთხშაბათს ღამით ცენტრალურ კორტზე მართლაც მძიმეწონოსანთა მატჩს გამართავთ, ამას თქვენთვის დიდ მიღწევად ჩათვლიდით?**

— არა, არა. ამისთვის ტურნირის შემდეგაც საკმაო დრო მექნება. ისეც ძალიან კმაყოფილი ვარ იმით, რაც მოვახერხე ამ დროის განმავლობაში, რადგან თავისით არაფერი მოსულა, ყველაფერი ეს მძიმე შრომისა და ბევრი რამის მსხვერპლად გაღების შედეგია. თუ მეორე დღეს სათამაშო არ მაქვს, ყოველი ტურნირის შემდეგ ვფიქრობ ხოლმე მიღწეულზე და საკუთარ თავს შამპანურის ან ღვინის თითო ჭიქითაც ვასაჩუქრებ.

**— ახლა შიგ რომ იყოთ, ლას ვეგასში, საკუთარ თავზე დადებდით ფულს?**

— რატომაც არა? რა თქმა უნდა, დავდებდი. მე აქამდე მივაღწიე, მშვენივრად ვთამაშობ. ახლა სულ 16 კაცი დავრჩით, მეოთხედფინალში გასულებიდან კი, ჩემი აზრით, გამარჯვების შანსი ყველას ექნება.

**— ჩოგბურთზე დახარჯული ამდენი ენერგია ანდრე აგასი — ბიზნესმენის საქმეებს ხომ არ ვნებს, მაგალითად, „ოლ-სტარ კაფეს" (აგასისა და რამდენიმე ცნობილი სპორტსმენის რესტორნების ქსელი)?**

— ჩემს ბიზნესს ჩოგბურთზე მეტად ამჟამად საბირჟო კრიზისი ვნებს.

**— პატრიკ რაფტერი ცოტა ხნის წინ გორან ივანიშევიჩზე საუბრობდა და თქვა, რომ იგი და გორანი მეგობრები იმიტომ არიან, რომ ეს უკანასკნელი ცოტა დაქნეული ტიპია. გორანზე თქვენც იგივე აზრისა ხართ? ხომ არ მოჰყვებოდით რაიმე ისტორიას, რაც მისი პიროვნებისთვისაა დამახასიათებელი?**

— იცით, გორანთან ერთად კორტს გარეთ დროის გატარების შესაძლებლობა თითქმის არასოდეს მქონია. თუმცა ყველაზე მეტად მოცებს, რომ მას, ჩვეულებრივ ჯენტლმენსა და სასიამოვნო ადამიანს, კორტზე ხშირად რალაც ხუშტურები მოუვლის ხოლმე. თუმცა ეს ერთადერთი შემთხვევა არ არის, როცა ჩოგბურთელის იმიჯი კორტზე და მის გარეთ რადიკალურად განსხვავდება. ლენდლი (ივან ლენდლი, რომელსაც მონოტონური ქცევის გამო რობოტს უწოდებდნენ) ხშირად მთელი დღეობით იჯდა გასახდელში, აბსოლუტურად შიშველი, მხოლოდ ფეხსაცმელებში და რაღაცეებს ხუმრობდა. მართალია, წარმოდგენა არა მაქვს, რისთვის სჭირდებოდა ეს, მაგრამ დროის გატარება მართლა ასე ერჩივნა. მეორე მხრივ, მაკინროი (ჯონ მაკინროი, რომელიც თავისი გამოხტომებით მატჩების დროს ხშირად ახალისებდა მაყურებელს) გასახდელში ყოველთვის სერიოზული იყო და მასთან გახუმრება, უბრალოდ, შეუძლებელი გახლდათ. გორანი, რომელიც მთელი კარიერის მანძილზე კორტზე ცოტათი შერეკილი ტიპის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ერთ-ერთი ყველაზე დალაგებული და სტაბილური პიროვნებაა, ვინც კი ცხოვრებაში მინახავს, ყოველთვის მომღიმარი, ყოველთვის სასიამოვნო, გამარჯობას არასოდეს დაგიგვიანებს.

**— ბეკერი როგორ იქცეოდა გასახდელში?**

— ბორისს თითქოს წესრიგი შეჰქონდა ყველაფერში. თუ ოთახის რომელიმე კუთხეს მიაშურებდა, იქ მხოლოდ იგი და მასთან კარგ ურთიერთობაში მყოფი ჩოგბურთელები იკრიბებოდნენ და მაინცდამაინც ბევრსაც არ ლაპარაკობდნენ. საერთოდ, მას არ უყვარდა დიდი გაწამაწია.



REUTERS ნიუ იორკიდან

**— ახლა, როცა უკვე დაოჯახებული კაცი ბრძანდებით, სენსაციების მოყვარულმა პრესამ არ უკლო თქვენს პირად ცხოვრებაში ჩარევას?**

— პრესამ?

**— დიახ.**

— არა, არა. ეს ისევ ჩემი თავის ტკივილია (ორიგინალში ანდრემ თავი კი არა, გაცილებით ქვემოთ მდებარე ორგანო იხმარა). არაფერი შეცვლილა.

**— ბრუქი** (შილდსი, აგასის მეუღლე) **მთელი ტურნირის განმავლობაში აქ იქნება?**

— არა, მხოლოდ რამდენიმე დღით. მას სამუშაო ელის, მაგრამ თუ საქმეები კარგად წავა, კვირის ბოლოს ისევ დაბრუნდება.

**— აშშ-ის ღია პირველობის შემდეგ რას გეგმავთ?**

— არ ვიცი, საკმაოდ დატვირთული ვარ, თუმცა ზუსტ განრიგს აშკარად ვერ გეტყოდით.

**— ჩოგბურთი?**

— კი, გეგმებში ჩოგბურთსაც დიდი ადგილი უკავია.

**— ოღონდ არა დევისის თასს** (აგასის აშშ-ის დევისის თასის გუნდის ხელმძღვანელობასთან უსიამოვნება აქვს).

— იტალიასთან ნახევარფინალური მატჩი ჩემს ეზოშიც რომ გამართონ, კარიდან გასვლითაც არ შევიწუხებ თავს.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

| | | | |
|---|---|---|---|
| **გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. III ტური** | | | |
| 9 სექტემბერი | | | |
| ნიურნბერგი — დორტმუნდი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ლევერკუზენი — ჰამბურგი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ჰერტა — შალკე | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ბაიერნი — ჰანზა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| **გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა.** გამოტოვებული მატჩები | | | |
| 9 სექტემბერი | | | |
| დიუსელდორფი — ბერლინი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 10 სექტემბერი | | | |
| ჰანოვერი — კიოლნი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| **ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. IV ტური** | | | |
| 9 სექტემბერი | | | |
| მანჩესტერი — ჩარლტონი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ასტონ ვილა — ნიუკასლი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ჩელსი — არსენალი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| დერბი — შეფილდი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ლესტერი — მიდლსბრო | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ლივერპული — ქოვენტრი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,1 | 3,0 |
| ტოტენჰემი — ბლექბერნი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ვესტ ჰემი — უიმბლდონი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| **ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. VII ტური. 9 სექტემბერი** | | | |
| სვინდონი — ოქსფორდი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| **რუსეთის ჩემპიონატი. XXIV ტური. 9 სექტემბერი** | | | |
| როსტსელმაში — ლოკომოტივი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ზენიტი — დინამო | 1,6 | 3,4 | 4,4 |
| ჩერნომორეცი — ჟემჩუჟინა | 1,7 | 3,5 | 3,6 |
| შინიკი — ალანია | 2,4 | 3,0 | 2,5 |
| როტორი — ურალანი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,1 |
| ტორპედო — კრილია | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| ცსკა — ბალტიკა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,9 |
| სპარტაკი — ტიუმენი | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| 0:1 | 1,2 | 4,7 | 6,0 |
| **ჰოლანდიის ჩემპიონატი. III ტური. 9 სექტემბერი** | | | |
| მაასტრიხტი — უტრეხტი | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| ბრედა — ტვენტე | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| კამბური — ნაიმეგენი | 2,4 | 3,0 | 2,5 |
| სიტარდი — ვიტესი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| აიაქსი — აზ 67 | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| **ბელგიის ჩემპიონატი. V ტური. 9 სექტემბერი** | | | |
| ოსტენდე — შარლერუა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| სტანდარდი — კორტრაიკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,6 |
| გენტი — გენკი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ლომელი — ეკერენი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ანდერლეხტი — ბრიუგე | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| ჰარელბეკი — ვესტერლო | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| ლოკერენი — მუსკრონი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ლიერსი — ბევერენი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| აალსტი — სტ. ტრუიდენი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| **პოლონეთის ჩემპიონატი. VII ტური. 9 სექტემბერი** | | | |
| ლეგია — ვიძევი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ბელხატოვი — კატოვიცე | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ვისლა — ამიცა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| რუხი — რაძიონკოვი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ლკს — ლეხი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| გურნიკი — სტომილი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| პოგონი — ზაგლები | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ოდრა — პოლონია | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| **ავსტრიის ჩემპიონატი. VII ტური. 9 სექტემბერი** | | | |
| ლუსტენაუ — ზალცბურგი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| რიდი — გრაცერი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| შტაირი — ტიროლი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| შტურმი — ლინცერი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| **იტალიის თასი.** მეთექვსმეტედფინალის I მატჩები. 9 სექტემბერი | | | |
| კალარი — ვენეცია | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| რეჯინა — ბოლონია | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ვერონა — სამპდორია | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| ლეჩე — პიაჩენცა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| პადოვა — ფიორენტინა | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| ატალანტა — ემპოლი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| კიევო — რომა | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| გუალდო — უდინეზე | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| ბრეშა — ვიჩენცა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| პარმა — ჯენოა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| ლუკეზე — ბარი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| ლაციო — კოზენცა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| დი სანგრო — სალერნიტანა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ინტერი — ჩერენა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 10 სექტემბერი | | | |
| რავენა — იუვენტუსი | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| **საფრანგეთის ჩემპიონატი. V ტური. 10 სექტემბერი** | | | |
| ლორიანი — ოსერი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| მონაკო — ლანსი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 11 სექტემბერი | | | |
| ნანსი — პსჟ | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| სოშო — ლიონი | 3,6 | 2,7 | 2,0 |
| მარსელი — რენი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ბასტია — ლე ავრი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| ბორდო — მონპელიე | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| სტრასბური — მეცი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ტულუზი — ნანტი | 2,2 | 2,9 | 3,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

## ★ კრივი ★

# ისევ გორული მუშტითა

მსოფლიოს ჩემპიონ გიორგი კანდელაკისა და ევროპული პირველობის პრიზიორ რამაზ გაზაშვილის აღმზრდელმა გორის საკრივო სკოლამ ამ დღეებში კიდევ ერთხელ შეგვახსენა თავი



რომან ჯავახიშვილი

იურმალაში გამართულ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე გორში აღზრდილმა 16 წლის ცხინვალელმა რომან ჯავახიშვილმა 81 კგ წონაში მესამე ადგილი დაიკავა. ამ ტურნირში საქართველოდან 11 მოკრივე გამოდიოდა, რომელთაგან პრიზიორი მხოლოდ რომანი გახდა. გუშინ ბრინჯაოსმედალოსანი და მისი მწვრთნელი ავთანდილ შოშიაშვილი რედაქციაში გვეწვივნენ. თავდაპირველად რომანს გავესაუბრეთ.

**— სად და როდის დაიწყე კრივში ვარჯიში?**

— 11 წლისა გორის საკრივო სკოლაში მივედი ბადრი ყულუმბეგაშვილთან, ახლაც იქ ვვარჯიშობ მასთან და ავთო შოშიაშვილთან.

**— კრივში სულ 5 წელია ვარჯიშობ. აქამდე რა ტიტულების მოპოვება მოასწარი?**

— იურმალაში პირველად გავედი საერთაშორისო რინგზე. ვარ საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი, წელს კი კვაჭაძის სახელობის ტურნირში გავიმარჯვე.

**— იურმალაში ძალიან ხომ არ გაგიჭირდა, საგრძნობი ხომ არ არის სხვაობა ჩვენი და უცხოელი მოკრივეების მომზადების დონეში?**

— სიმართლე რომ ვთქვა, ძალიან ნამდვილად არ გამჭირვებია და არც დიდი განსხვავება ყოფილა ჩვენსა და უცხოელებს შორის. პირველ წრეში ესტონელი მეტოქე არ გამოცხადდა, მერე უკრაინელს 8:4 მოვუგე, ნახევარფინალში რუსეთის წარმომადგენელთან, ვლადიკავკაზელ იგორ ალბოროვთან წავაგე. იგი მერე ჩემპიონიც გახდა.

**— ამ წაგების მიზეზი რა იყო — მომზადების ხარისხი, ტექნიკური ხარვეზები თუ სხვა რამ?**

— მიზეზი ხანგრძლივი და მომქანცველი მგზავრობით გამოწვეული გადაღლილობა იყო. თბილისიდან მოსკოვამდე ავტობუსით ვიმგზავრეთ, იქიდან მატარებლით. დასვენებისა და ძალების აღდგენისთვის დრო არ მეყო. წაგების მიზეზიც ეს იყო.

**— ისევ იურმალას დავუბრუნდეთ.**

— მესამე ადგილისთვის ისევ უკრაინელს შევხვდი, მოვუგე და მესამე ადგილი დავიკავე.

**— თავად ტურნირი რა დონისა იყო ორგანიზაციისა და შემადგენლობის მხრივ?**

— სასაყვედურო, მე მგონი, არავის უნდა ჰქონდეს, დასაწუნი არც წარმომადგენლობა იყო. ძალიან ძლიერი გუნდები ჰყავდათ რუსეთს, უკრაინას, იტალიას, რუმინეთს, ბულგარეთს. სულ ტურნირში ევროპის 32 ქვეყანა მონაწილეობდა.

**— სამომავლოდ რას აპირებ, სერიოზულად ფიქრობ დიდ კრივზე?**

— ჯერჯერობით ახალგაზრდებში ვიქნები, მერე ვნახოთ. დიდ კრივზე კი მართლაც სერიოზულად ვფიქრობ.

**— ბატონო ავთო, რომანი თქვენს თვალწინ და თქვენს ხელშიც გაიზარდა...**

— ძალზე პერსპექტიული მოკრივეა. თავიდან ვერც კი ვიფიქრებდით, მოკრივე თუ დადგებოდა, იმდენად წყნარი ბიჭია. ხუთი წელია, კრივში ვარჯიშობს და ამ ხნის მანძილზე ასაკის კვალობაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი ტიტულის მოპოვება მოასწრო. მჯეროდა, ევროპაზე წარმატებას მიაღწევდა, ასევე მჯერა, რომ მომავალში დიდ რინგზეც იტყვის თავის სათქმელს. საამისოდ ასეთივე მონდომებით უნდა განაგრძოს ვარჯიში, თუმცა ერთი სერიოზული პრობლემაა — სიმაღლე, რომელიც ამჟამად



ბადრი კეთილაძის ფოტო

ავთანდილ შოშიაშვილი

აშკარად არ უწყობს ხელს. თუ სიმაღლეშიც მოიმატა, მისგან კარგი მოკრივე უნდა დადგეს. რომანი უშიშარი და გულიანია, რაც მოკრივისთვის აუცილებელი პირობაა.

**— ბატონო ავთო, გორის საკრივო სკოლაზეც გვითხარით — რა პრობლემებითა თუ პერსპექტივებით არსებობს იგი ამჟამად, ვინ გეხმარებათ?**

— ჩვენს სკოლაში ნორმალური სავარჯიშო პირობებია. ჩვენთან მუშაობა იმ მძიმე წლებშიც არ შეწყვეტილა, ამ რამდენიმე ხნის წინ რომ გააწამა ჩვენი ქვეყანა. გვაქვს ნორმალური დარბაზი, ინვენტარი, გათბობა, ცხელი წყალი და სავარჯიშოდ აუცილებელი სხვა პირობებიც. რაც შეეხებათ დამხმარეებს, მეხმარებიან ნაცნობ-მეგობრები, ახლობლები და ჯერჯერობით ასე გავდივარ ფონს, მაგრამ კაცთან ერთხელ რომ მიხვალ სათხოვნელად, მეორედ და მესამედ ამას ველარ იზამ. ამიტომ წელს უკვე გაგვიჭირდა...

**ირაკლი თავაძე**

## ★ ჭიდაობა ★

# თეირანი 98
# USA და ქალი

გუშინ ირანის დედაქალაქ თეირანში ძალიან საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მსოფლიოს 33-ე ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. გახსნის ცერემონიალი ჭეშმარიტად აღმოსავლური გახლდათ: მოლა, ქვეყნის დიდკაცობა, ხალიჩები, ყვავილები... და იყო ცოტა ხნის წინ წარმოუდგენელი — ქალები დარბაზში!

ირანი, რომლის მკვიდრთათვის თავისუფალი ჭიდაობა იგივეა, რაც ბრაზილიელებისთვის ფეხბურთი, 26-წლიანი შესვენების შემდეგ მასპინძლობს მსოფლიოს ჩემპიონატს. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ირანს ჩავიდა აშშ-ის ნაკრებიც — 1979 წლის შემდეგ ამერიკელები ოფიციალურ ტურნირში მონაწილეობის მისაღებად პირველად ეწვივნენ ირანს, არაოფიციალურად კი ამ ცოტა ხნის წინათ იყვნენ სპორტულ-დიპლომატიური ურთიერთობების აღსადგენად.

შეჯიბრების პირველ დღეს ასპარეზობაში ჩაებნენ 54 (რომელშიც მონაწილე არ გვყავს), 63, 76 და 97 კგ წონის მოჭიდავენი. სამწუხაროდ, პირველი დღის შედეგებმა დიდად ვერ გაგვახარა. 76-ში მოასპარეზე ალექსანდრე კახნიაშვილი პირველსავე წრეში შეხვდა ჩეჩენ ბუვაისა საიტიევს, რომელიც მსოფლიოში ზეტექნიკურ მოჭიდავედ ითვლება და როგორც მოსალოდნელი იყო, წააგო. სამწუხაროდ, იგი ამის შემდეგაც დამარცხდა, ამჯერად მასპინძელ დორშტკართან და გამოეთიშა ასპარეზობას. პირველივე შეხვედრაში დამარცხდა დათო ლეჟავაც (63), რომელმაც რუსეთის წარმომადგენელ მაგომედ აზიზოვთან წააგო სუფთად — 10:0. რაც შეეხება ელდარ კურტანიძეს — 97 კგ-ში, ჩვენს ფალავანს უძნელესი ბრძოლები ელის, რადგან ჩინებული სტარტი აიღეს ამერიკელმა მელვილ დუგლასმა და მასპინძელმა აბას ჯადიდმა, რომელმაც მეორე წრეში მსოფლიოს ჩემპიონი კურმაგომედოვი დაამარცხა. თუ შინაურ კედლების ფაქტორსაც გავითვალისწინებთ, ჯადიდისთვის ჩემპიონობის წართმევა გმირობა იქნება ნებისმიერი მოჭიდავისგან.



REUTERS თეირანიდან

1979 წლის მერე ირანში პირველად გამოჩნდა აშშ-ის დროშა

**ირაკლი თავაძე**

## ★ ხელბურთი ★

# შევარდენი ბალკანურ მახეში

გუშინ გაუწყეთ, „სტუ-შევარდენის“ ხელბურთელმა ვაჟებმა ევროპის ჩემპიონთა თასის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი ბოსნიაში ტრავნიკის „ბორაცთან“ 24:24 რომ დაასრულეს. სტუმრად მიღწეული ფრე, რა თქმა უნდა, კარგი შედეგია და საპასუხო შეხვედრისთვისაც იმედიანად განგვაწყობს. ჩვენი ბიჭები ორშაბათს ღამით შინ დაბრუნდნენ და დღეს უკვე თბილისური მატჩისთვის მზადებას დაიწყებენ. ვიდრე 13 სექტემბრის თამაშზე ვიტყოდეთ, ბოსნიურ შეხვედრაზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვით.

შევარდნები ტრავნიკს პარასკევს 4 სექტემბერს ჩავიდნენ, მასპინძლებს ქართველები კარგად მიუღიათ და ბოსნიაში ყოფნისას ყურადღება არ მოუკლიათ, ეგ არის მხოლოდ, საკუთარი, ახალაშენებული დარბაზისთვის ველარ მიუხედავთ, იქაურ ტერორისტებს აუფეთქებიათ და ჩვენებურებს იქ ველარ უვარჯიშიათ, თამაშიც 500-კაციან, ძველ დარბაზში გამართულა.

აი, შეხვედრა დაწყებულა თუ არა, ბოსნიელებს, ხორვატ მსაჯებს და სლოვენიელ კომისარს სტუმარ-მასპინძლობის ადათ-წესები უმალ დავიწყნიათ, არც ხელბურთის წეს-კანონთა დასაცავად გამოუდვიათ თავი და ქართველთათვის ერთიანი ფრონტით შეუტევიათ. ჩვენი ბიჭები მედგრად დადგომიან მეტოქეს და მთელი თამაში, რომ იტყვიან, ქულა-ქულაში მიდიოდა, თუმც პირველი ტაიმი მაინც მასპინძლებს მოუგიათ 14:12. მეორე ნახევარში ხორვატ არბიტრებს მთლად აუღიათ ნამუსზე ხელი და ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ბექა ორჯონიკიძე გაუძევებიათ, მაგრამ შევარდნები არ გატეხილან, ვერც ბოსნიელი გულშემატკივრების თავგადაკლულ ქომაგობას გაუჭრია, ლევან გელაშვილს და სერგო დათუკიშვილს მთლიანდ მატჩში შვიდ-შვიდი ბურთი შეუგდიათ, მეკარე როლანდ ერაძესაც აულებელიც ბევრჯერ აუღია, ვახტანგ მეიფარიანსაც ჩვეულად უკაპიტნია და საბოლოოდ შეხვედრა ფრედ 24:24 დაუსრულებიათ. „სტუ-შევარდენის“ თავკაცები ზაზა დოლიძე, ზურაბ კეკელიძე, ჯემალ ბარამიძე და ალეკო კიკაბიძე ბიჭების თამაშით კმაყოფილნი არიან და ახლა საპასუხო შეხვედრაზე ფიქრობენ. ცხადია, „ბორაცი“ თბილისში საბრძოლველად ჩამოვა და არც გამარჯვებაზე იტყვის უარს. ბოსნიელები თბილისს 11 სექტემბერს ჩამოვლენ და კვირის მატჩამდე აქვე მოემზადებიან.

ზემოთ გითხარით, რომ ზაზა დოლიძე დღეიდან შეკრებს ხელბურთელებს და ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში დააწყებინებს ვარჯიშს. სტუმრად მიღწეული სასურველი შედეგის მიუხედავად, თბილისურ მატჩს ერთობ სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ, მით უმეტეს, ქართული საფეხბურთო კლუბების ბედოვლათობის ამბები ჯერ კიდევ ყველას კარგად გვახსოვს. თუმცა ერთიცაა: ჩვენს ხელბურთელებს პირველი შეხვედრის მერე თვითკმაყოფილება და დაარხეინება არ ეტყობათ და სპორტის სასახლეში მისულ გულშემატკივართა გახარებას აპირებენ, ღმერთმა ქნას, ასე იყოს, მერე კი, მერე ესპანეთის „ბარსელონაა“.

**სოსო კოტორეიშვილი**

## ★ ველორბოლა ★ VUELTA'98

# ჟალაბერი ყვითლისთვის შავებს არ ჩაიცმევს

მე-3 ეტაპი. კადისიდან — ესტეპონამდე 192.6 კილომეტრი

თუ „ვუელტაზე“ დღემდე ჩატარებული სამი ეტაპის ტექნიკურ შედეგებს გადავავლებთ თვალს, ნათლად ვიხილავთ, რომ სამჯერვე ფინიშის ხაზზე ველომრბოლები ერთად, პელეტონში გაერთიანებულნი მიდიოდნენ და მხოლოდ ბოლო მეტრებზე არკვევდნენ გამარჯვებულის ვინაობას. შესაბამისად, დროში ჩამორჩენა სპორტსმენებს შორის დიდი არ გახლდათ, რაზეც თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ მესამე ეტაპის შემდეგ დაწინაურებულ ფრანგ ლორან ჟალაბერსა და მეოცე ადგილზე მყოფ იტალიელ მარკო გუალდის ერთმანეთისგან მხოლოდ 15 წამი აშორებდათ.

სანამ ეტაპები ანდალუზიურ ველებზე იმართება, ერთგვარად დამკვიდრებული ვითარების შეცვლას არც უნდა ველოდეთ. ნამდვილი ბრძოლა კი მას შემდეგ დაიწყება, რაც ველომრბოლები მთებში გადაინაცვლებენ და თავიანთი გუნდების მიერ დაგეგმილი ტაქტიკური ჩანაფიქრის განხორციელებას შეეცდებიან.

უშუალოდ მესამე ეტაპზე კი რა შეიძლება ითქვას? რბოლის დაწყებამდე საერთო ჩათვლას შვეიცარიელი მარკუს ზბერგი ლიდერობდა, რომელიც კლუბ „ONCE“-ს რიგებში მოასპარეზე, მეორე ადგილზე მყოფ ჟალაბერს ერთ წამს უგებდა. თუმცა „ვუელტას“ 1995 წლის ჩემპიონმა უკანასკნელ საშუალედო ეტაპზე გამარჯვებით რამდენიმე ზედმეტი წამი დაიბევა, რამაც იმის საშუალება მისცა, წინმყოფი ზბერგისთვის 2 წამით გაესწრო და მეოთხე ეტაპს ლიდერის ყვითელი მაისურით შეხვედროდა. მეორე ადგილზე გერმანელი ვუსტი გავიდა, ხოლო მესამეზე იტალიელი ლომბარდი. ისე, უნდა აღინიშნოს, რომ ველომრბოლთა შორის ადგილთა ასეთი განაწილება ერთობ პირობითია, რადგან ფინიშის ხაზზე 124 სპორტსმენი ერთად მივიდა და ასევე მწყობრში დაასრულა რბოლა.



ლორან ჟალაბერი

„ყვითელი მაისურის დაბევება ჩემი მთავარი მიზანი ნამდვილად არ არის. ასე რომ, თუკი მომდევნო ეტაპის შემდეგ მას რომელიმე მეტოქე ჩამომართმევს, ამას ტრაგედიად ნამდვილად არ მივიჩნევ“ — განაცხადა გამარჯვებულმა ჟალაბერმა.

1. იან კირსიპუუ (ესტონეთი) 4 სთ 16 წთ 24 წმ; 2. მარსელ ვუსტი (გერმანია); 3. ჯოვანი ლომბარდი (იტალია) იგივე დრო.

საერთო ჩათვლა
(3 ეტაპის შემდეგ):

1. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი) 14 სთ 57 წთ 41 წმ; 2. მარკუს ზბერგი (შვეიცარია) +2; 3. ფილიპ გომონი (საფრანგეთი) +6; 4. ჯულიანო ფიგერასი (იტალია) +7; 5. ფაბრიციო გუიდი (იტალია) +8.

მე-4 ეტაპი. მალაგადან — გრანადამდე 173.5 კილომეტრი

მეოთხე ეტაპის მომგებმა იტალიელმა ფაბრიციო გვიდიმ ტურის ლიდერს ფრანგ ლორან ჟალაბერს აჯობა და ყვითელი მაისურიც მოირგო.

**ბახა არჯევანიძე**


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:**
ილია ბაბუნაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:**
ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე:**
ავთანდილ გურასაშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:**
სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია.**
**ქართული ფეხბურთის განყოფილება:**
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:**
ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
**კალათბურთის განყოფილება:**
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
**ინფორმაციის განყოფილება:**
ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე, ირაკლი ხმელიძე
**კორესპონდენტი ქუთაისში**
იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:**
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:**
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:**
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29